2001 VI

სპორტი

სპორტული გაზეთი • პარასკევი 1 ივნისი 2001 №100 (1373) ფასი 50 თეთრი

ბადრი ჯითლაძის ფოტო

კიდევ ეს საქართველო! კიდევ ეს იტალია!



ბადრი ჯითლაძის ფოტო

ჯოვანი ტრაპატონი

EANCORA QUELLA GEORGIA

«კიდევ ეს საქართველო» – თქვა გუშინ თბილისში ჩამოსული იტალიის ნაკრების კაპიტანმა პაოლო მალდინიმ. იტალიელები იოლ მატჩს არ ელიან, მაგრამ, აბა, ერთი ჩვენიც იკითხონ: ისევ ეს იტალია!

იხილეთ მეორე-მეექვსე გვერდები

ბადრი ჯითლაძის ფოტო

პაოლო მალდინი

2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. VIII ჯგუფი. 2 ივნისი

საქართველო — იტალია

თბილისი. „ეროვნული“. 21.00

საშიშია, საშიში!

EANCORA QUELLA GEORGIA

მაშ ასე, ოთხწლიანი პაუზის შემდეგ კვლავ გვეწვია იტალიის ეროვნული ნაკრები. ამ ხნის განმავლობაში ბევრი არაფერი შეცვლილა. იტალია ისევ იტალიაა, საქართველოც ისევ ის საქართველო. და ზეიმია „სკუადრა აძურას“ სტუმრობა: დიდი გუნდი, დიდი ფეხბურთელებით. უჩვეულო განცდაა, როცა გრანდები ჩვენს მიწაზე ფეხს ადგამენ. დონ ტრაპატონის გუნდის ჩამოსვლა მოვლენაა.



პაოლო მალდინი

პირველი, რაც აეროპორტში თვალში მოგვხდა, ორი ქართველი ბიჭუნა იყო, იტალიის სამფეროვანი დროშა გაეშალათ და მაღლა აღმართული ხელებით აქეთ-იქით დააქშეტინებდნენ. მერე ყმაწვილობა ალაყაფის კარს მიადგა, რომლის იქით მხოლოდ ჟურნალისტები და აეროპორტის მოსამსახურეები ირეოდნენ.

რომიდან ჩარტერული რეისით ჩამოფრინდნენ სტუმრები, იტალიის ფერებით გაფერადებული ბოინგით. საბაჟოს გავლის შემდეგ ჩვეულებრივი ამბები — ტელეკამერები, ფოტოაპარატების ჩხაკუნი, მინი-ინტერვიუები, ავტოგრაფები, სურათების გადაღება საყვარელ ფეხბურთელებთან. და ჯოვანი ტრაპატონი, ეპოქალური, რესპექტაბელური კაცი, რომელმაც კბილებში გამოსცრა — კარგად ვიფრინეთ, საქართველო საშიშია, საშიში. პირველ გუნდს ახალგაზრდული ნაკრები ფეხდაფეხ აედევნა, მათ ერთ დროს ძალთამტვრეველი, ტიპიური რომაელი კლაუდიო ჯენტილე მოუძღოდათ.

ავტობუსში ჩასხდომა გაუძნელდათ სტუმრებს, მათ შმაგად მიაწყდა ხალხი, თუმც ვაჟკაცურად გაუძლეს და სასტუმროსკენ გაეშურნენ.

ფაციფუცი იყო „შერატონ მეტეხი პალასში“. მთავარ შესასვლელთან ჟურნალისტებს დაცვა გადაგვიდგა, სასტუმროს თანამშრომელმა ქალბატონმა კი მოგვახსენა, იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ გვთხოვა, თქვენმა მასმედიამ მწვრთნელ-ფეხბურთელები არ შეგვიწუხოსო.

სხვა დიდი ნაკრებებიც ჩამოსულან თბილისში, მაგრამ მსგავსი არ ყოფილა, არც მაშინ, როცა იტალიელები ოთხი წლის წინ გვესტუმრნენ.

„სკუადრა აძურამ“ სასტუმროს უკანა მხრიდან მოაყენა ავტობუსი, ჟურნალისტთა ნაწილიც იქითკენ გავემართეთ, იტალიელებს შევერიეთ და ჰოლშიც შევაღწიეთ. ელეგანტურ ლურჯ კოსტიუმებში, ცისფერ პერანგებსა და მელნისფერ ჰალსტუხებში გამოწყობილმა სტუმრებმა დინჯად შეაბიჯეს. ინსტიქტურად პაოლო მალდინის ავედევნე, რომელმაც ოხვრით ჩაიქირქილა: EANCORA QUELLA GEORGIA — კიდევ ეს საქართველო. რა თქმა უნდა, გულზე შემომეყარა ეს სიტყვები, ოთხი წლის წინანდელი ამბები გამახსენდა, როცა „სკუადრა აძურას“ სათუო გავუხადეთ საფრანგეთი-98-ზე თამაში, ხოლო შოთა და აჩიკო არველაძეებმა ერთ ეპიზოდში მოხდენილად გააპამპულეს მალდინი „ჰაიჭაძე გრაუნდზე“.

ნომრებში დაბინავდნენ სამფეროვნები. ჰოლს ოდენ შადრევნების ჩხრიალი, გადამცემმომარჯვებული დაცვა და კანტიკუნტად ჟურნალისტობა შემორჩა.

შუაღამე იწურებოდა და იმედიც, რომ ფეხბურთელები ოთახებიდან გამოვლენ. ქართული მასმედიისგან სარბიელელებიდა ვიყავით სასტუმროში. „სკუადრას“ კი ძილი არ მოერია, ლიფტები მეშვიდე-მეცხრე სართულიდან რიგრიგობით დაეშვა დარბაზში და ტრაპატონის დარჩეული ბიჭები კაფეტერიის მაგიდებს მიუსხდნენ. ცოტას ლაპარაკობდნენ, ფაბიო კანავარო კი თავის მუღამში იყო, ყურსასმენით მობილურზე განცხრომით ლაპარაკობდა. ჯანლუკა ძამბროტამ ყავა მოითხოვა, მას ანჯელო დი ლივიომაც მიჰბაძა, ოღონდ ფინჯანი ყავა არყის სირჩასავით გადაკრა და მერე მადიანად გააბოლა. ფრანჩესკო კოკომაც წაუქეშინა და ჩვენი ინტერვიუების უმეტესი ნაწილიც მაშინდა გამოცხვა.

დავით თავგართქილაძე

პაოლო მალდინი

საქართველოს ნაკრები მზარდი, პროგრესული გუნდია, ამდენად მისი შეუფასებლობა არ იქნება. სატურნირო თვალსაზრისით თქვენებურებს ჰაერივით სჭირდებათ გამარჯვება და ალბათ უშელავათო ბრძოლას გაგვიმართავენ მოედანზე, მაგრამ ჩვენ მოსაგებად ვართ ჩამოსულნი და არა მგონია, მიზნის მიღწევა გაგვიჭირდეს.

— ოთხი წლის წინ, სწორედ თბილისური მატჩის შემდეგ სათუოდ გაიხადეთ მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეობა...

— მახსოვს. მაშინ ფატალურად არ გაგვიმართლა ქართველებთან. სასწაულებრივ არ შედიოდა ბურთი თქვენების კარში და ფრედ ვითამაშეთ. თუმც მერე ყველაფერი თავის ადგილზე დადგა — რუსეთს უპრობლემოდ ვძლიეთ გადათამაშებაში.

— თბილისური მატჩიდან რომელმა ქართველმა ფეხბურთელმა დაგამახსოვრათ თავი?

— ახლა მიჭირს კონკრეტულად ვინმეს გახსენება. მთლიანობაში თქვენები მთელი გუნდით თავს იცავდნენ და რადგან გოლი არ გაუშვეს, ნაყოფიერადაც გაისარჯნენ.

— მაშინდელ და დღევანდელ იტალიის ნაკრებებს შორის რა განსხვავებაა?

— მწვრთნელი გამოგვეცვალა და რამდენიმე ნიჭიერი ფეხბურთელი დაგვემატა. ვფიქრობ, საერთო ჯამში იტალიის ნაკრებს თავისი სახე არ დაუკარგავს.

დამიანო ტომაზი

პირველი შთაბეჭდილება ჩვეულებრივია, ჩემთვის ფეხბურთი ხელობაც არის და მოვალეობაც, ამიტომ ვცდილობ, ემოციებს არ ავყვე. საქართველოზე მსმენია, რომ პატარა, დამოუკიდებელი სახელმწიფოა და ამ ქვეყნის გუნდმა რამდენიმე წლის წინ ფრე ითამაშა ჩემს იტალიასთან.

— რამდენიმე დღის წინ ქართველ კალაძის წინააღმდეგ მოგიხდათ თამაში...

— კალაძე ჩინებული ფეხბურთელია და კარგ გუნდშიც თამაშობს. ვიცი, რომ მას დღეს პრობლემები აქვს და თანავუგრძნობ. რაც მას შეემთხვა, ასეთი რამ ამაზრზენია... იმედია, ყველაფერი სასიკეთოდ დასრულდება.

— „რომა“ — „მილანის“ ბოლო ტურის მატჩი გამორჩეული იყო. მოგების შემთხვევაში, ფაქტობრივად, ჩემპიონები ხდებოდით...

— თქვენ ეჭვი გეპარებათ, რომ „რომა“ ჩემპიონი გახდება? ეს გუნდი ბრწყინვალეა და სხვებზე მეტად იმსახურებს ტრიუმფს.

— რა არის თქვენთვის „რომა“?

— მე ძირძველი რომაელი ვარ და ვამაყობ ჩემი ქალაქის გუნდით.

— რომს მეორე გუნდიც ჰყავს, „ლაციო“, დათანხმდებოდით იქ გადასვლას?

— ფიქრადაც კი არ მომსვლია ასეთი რამ. ჩემი რომი „რომაა“.

ჰოლანდია

გადადებული მატჩები

სიტარდი 4:1 ტილბურგი

გრაბაფსხაპი 4:1 ბრედა

ფრანჩესკო კოკო

მოხარული ვარ, რომ საქართველოში ქართველებთან რევანშის საშუალება მომეცა. კარგად მახსოვს, თქვენმა ახალგაზრდულმა გუნდმა 2:0 რომ მოგვიგო.

— ისიც გეხსომებათ, იმ მატჩში ჩვენებურ ფოცხვერიასთან ჩხუბის გამო მოედნიდან რომ გაგაძევეს...

— რას იზამ, ფეხბურთში ყველაფერი ხდება.

— მოკლე დროში არნახულ წარმატებას მიაღწიეთ. რის ხარჯზე?

— ფეხბურთი ყველაფერია ჩემთვის და მეც მისთვის არაფერს ვიშურებ. თანაც კარგ გარემოში ვარ, პარტნიორები ერთიორად მიიოლებენ საქმეს... თქვენ კალაძის ძმის ამბები გეცოდინებათ...

— სამწუხაროდ, ჯერჯერობით ყველაფერი ძველებურადაა, კალაძის ძმას ვერ მიაგნეს...

— ძალიან ვწუხვარ, კახა ჩინებული და დასაფასებელი პიროვნებაა. მესმის, რა მდგომარეობაშიცაა და დარწმუნებული ვარ, ყველაფერი მოგვარდება. ითამაშებს?

— ალბათ...





ფაბიო კანავარო

გაინტერესებთ როგორ დამთავრდება მატჩი? იტალია მოიგებს, მიუხედავად იმისა, რომ ურიგო გუნდი არ გყავთ, ეს ქართველებმა ანკონაშიც დაამტკიცეს. მაშინ კლასით და გამოცდილებით მოვიგეთ და რატომ არ უნდა განმეორდეს იგივე თბილისში:

— ევროპის გასულ ჩემპიონატზე ერთ-ერთი საუკეთესო იყავით. ამის ფონზე დღესდღეობით, შეიძლება ითქვას, ჩრდილში მოექეცით. გადაიღალეთ?

— თქვენს შეხედულებას ვერ გავიზიარებ. ფეხბურთელი ერთ კონდიციაზე ვერაფრით იქნება. ევროპის ჩემპიონატი შედარებით მოკლევადიანი ტურნირია და მისთვის სრულად მობილიზება შევძელი. იტალიის ჩემპიონატში, ამ ხანგრძლივ, მომქანცველ მარათონში კი ცოტა სხვაგვარადაა საქმე, მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩემი თამაშით უკმაყოფილო ნამდვილად არ ვარ.

ალესანდრო ნესტა

რა თქმა უნდა, ტრაპატონის თავის მოსაზრება აქვს, მაგრამ ალბათ ძირითადში ვითამაშებ.

—ქართველთაგან რომელმა ფეხბურთელმა შეიძლება შეგიქმნათ ყველაზე მეტი პრობლემები?

— წინასწარ როგორ გითხრათ, ამას თამაში გამოაჩენს.

— მატჩის თქვენეული პროგნოზი როგორია...

— მე ნოსტრადამუსი არა ვარ, მაგრამ მჯერა, იტალია მოიგებს.

მარკო დელვეკიო

ჩინებულად ვიმგზავრეთ და კარგ ხასიათზე ვარ, იმედი მაქვს, მოედანზეც მომეცემა თამაშის და იგივე განწყობილების შენარჩუნების საშუალება. იტალია ფავორიტია. ჩვენ მოსაგებად ჩამოვედით. საქართველოში გამარჯვების შემთხვევაში, ფაქტობრივად, გავინაღდებთ მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურს. საქმის გადაღება იტალიას არასდროს სჩვევია. ამდენად პრინციპული და მნიშვნელოვანი თამაშია ჩვენთვის.

ფრანჩესკო ტოლდო

წარმომიდგენია კახა კალაძის მდგომარეობა. ის შესანიშნავი ფეხბურთელი და კარგი პიროვნებაა. დიდ პატივს ვცემ. ცუდი იქნება, ზეგ თუ არ ითამაშებს. საქართველოს კარგი გუნდი კი ჰყავს, მაგრამ ალბათ დამეთანხმებით, არა ჩვენნაირი. ალბათ, მოვიგებთ.

ვინჩენცო მონტელა

თბილისში გოლის გასატანად ჩამოვედი. კახა კალაძის წინააღმდეგ კიდევ ერთხელაც თამაში საინტერესო იქნება. მას ძალიან ცუდი ამბავი შეემთხვა, ძალიან მწყინს.

ფრანჩესკო ტოტი

დარწმუნებული ვარ, თბილისში ძნელი თამაში გველის. კარგად მახსოვს, ქართველებთან შარშან როგორ გაგვიჭირდა და ის ეპიზოდიც, ჩემი წაქცევისთვის მსაჯმა პენალტი რომ დანიშნა. ახლა ეს ვიკმაროთ და დანარჩენზე ხვალ ვილაპარაკოთ. ერთს კი გეტყვით, ვწუხვარ კახა კალაძის პრობლემის გამო. ვიმედოვნებ, ყველაფერი კარგად დამთავრდება.

ო-ო-ო, თურმე ქოფილა ეუბნ. თბილისი მგონათ მუქი

სინიორ პეტრუჩის სამ ჟულასთან ერთად ხატები და ხალიჩებიც უნდა

ოთხი წლის წინ იტალიელთა დელეგაციას თბილისში იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ლუჩანო ნიკოლა თავკაცობდა. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა და ნიკოლას ვადაზე ადრე მოუხდა თანამდებობის დატოვება, მორიგ არჩევნებამდე პრეზიდენტის მოვალეობას დღესდღეობით ჯოვანი პეტრუჩი ასრულებს და როგორც აპენინელები ამბობენ, ოფიციალურად გაპრეზიდენტების კარგი შანსიც აქვს. პეტრუჩის თბილისში თარჯიმნობას ქალბატონი თამარ ჟღენტი უწევს და ამ მანდილოსანს დღეს გვარიანი ჯაფაც დაადგება.

იტალიის დელეგაციის თავკაცი თბილისს შემოვლას მეიდნიდან აპირებს. რა შუაშია მეიდანიო, იკითხავთ. თამარ ჟღენტის თქმით, პეტრუჩი ძველი ხალიჩებით და ხატებით ყოფილა დაინტერესებული და, ალბათ, შინ ხელცარიელი არ გაბრუნდება. უცნაურია, მაგრამ იტალიელს ქართულ მიწაზე ფეხის დადგმისთანავე ჯერ ხალიჩები და ხატები მოუკითხავს, მერე იმით დაინტერესებულა, რამდენი წელია, რაც შევარდნაძე პრეზიდენტიაო. და ერთიც, იტალიელი საფეხბურთო ჩინოსანი ერთობ გაკვირვებული დარჩენილა გაჩახჩახებული თბილისის ნახვით. ასეა, იტალიელები იმით გავაკვირვეთ, რომ შუქი გვაქვს. ჯერჯერობით...

ბაატა ძვანტალიანი



ზურაბ ჟვანია: ლევან კალაძეზე ქვეყანი ვფიქრობთ

გვიანი ვახშმის შემდეგ იტალიელი ფეხბურთელები „შერატონის“ ღია ბარში ყავას შეექცეოდნენ, როცა სასტუმროს ვესტიბიულში საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია გამოჩნდა. ბატონი ზურაბის „შერატონში“ მოსვლის მიზეზი თბილისში სტუმრად მყოფი სენატორი ბრაუნბეკი გახლდათ. შანსი ხელიდან არ გავუშვით და ქვეყნის მეორე პირს ვთხოვეთ, ჩვენთვის საინტერესო კითხვებზე ეპასუხა.

— იტალიის ნაკრების თბილისში ჩამოსვლა უდიდესი მოვლენაა ჩვენი ფეხბურთისთვის. ეს ნაკრები მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი გუნდია და თუ მათ დავამარცხებთ, ისტორიული მოვლენა იქნება ქართული ფეხბურთისთვის.

— ბატონო ზურაბ, რა კომენტარს გაუკეთებდით საქართველოს ეროვნული ნაკრების ფეხბურთელის კახა კალაძის ძმის გატაცების ფაქტს?

— ჩვენ ყველა სასოწარკვეთილნი და უაღრესად აღელვებულნი ვართ მომხდარით და სანამ ეს საკითხი არ გადაწყდება, შეუძლებელია, ამაზე არ იფიქროს ადამიანმა, მით უფრო, როცა ფეხბურთზეა ლაპარაკი.

— ალბათ ფეხბურთის გარეშეც ეს ერთობ საგანგაშო ტენდენციაა?

— რა თქმა უნდა. ჩვენ ძალ-ღონეს არ ვიშურებთ ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად.

— ამ წუთისთვის რაიმე ახალ ინფორმაციას თუ ფლობთ ამ საქმესთან დაკავშირებით?

— არ შემიძლია, დეტალები დაწვრილებით მოგახსენოთ, ერთს კი გეტყვით, რომ პრაქტიკულად ბატონი პრეზიდენტი ყოველდღიურად მუშაობს შინაგან საქმეთა და უშიშროების მინისტრებთან ერთად და დარწმუნებული ვარ, ყველაფერი კეთილად დასრულდება.

ბაატა ძვანტალიანი
კოტა ინასარიძე
ბადრი კეთილაძის და გურამ დოლენჯაშვილის ფოტოები

2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. VIII ჯგუფი. 2 ივნისი

საქართველო — იტალია

თბილისი. „ეროვნული“. 21.00

საქართველოს ეროვნულმა გუნდმა გუშინ საღამოს „ეროვნულზე“ საათნახევარს ივარჯიშა. მანამდე კი ნაკრების მწვრთნელები, მწვრთნელთა საბჭოს წევრები და ჟურნალისტები პრესკონფერენციაზე შევიკრებეთ. რევაზ ძოძუაშვილის თქმით, შეხვედრის მიზეზი ის იყო, რომ ზოგიერთ საკამათო საკითხზე თამაშამდე გვემსჯელა და გაგვერკვია, ვთქვათ, რატომ სჯობს ერთი ფეხბურთელი მეორეს, ან რატომ ვერ ხვდება მავანი შემადგენლობაში.

ექიმებს მარტო ქინქლაძე დარჩათ

რევაზ ძოძუაშვილი

ჟურნალისტებზე

„ფეხბურთელებისთვის ბევრს ნიშნავს, რა და როგორ დაიწერება, მით უმეტეს ახლა, როცა კალაძისა და შოთას ამბებმა ყველა სტრესში ჩაგვაგდო. ამიტომ, ჟურნალისტების თანადგომისა და პროფესიონალიზმის იმედი მაქვსო...“

კალაძეზე

„კახა რომ ვარჯიშზე მოდის, თითქოს წინა დღის მერე ხუთი კილოგრამი დაიკლოო. სანთელივით დნება ბიჭი. ვერც შეერებაზე ვტოვებთ, ეგებ ამით ფსიქოლოგიური მდგომარეობა ცოტა გავუუმჯობესოთ.“

შოთა არველაძეზე

„ცხადია, მოშხდარი შოთაზე იმოქმედებს, მაგრამ ფეხბურთელობის ნიჭი მისთვის ღმერთს მიუცია და მისი პროფესიონალიზმის იმედიც გვაქვს. თავდასხმაში, შესაძლოა, ყველაშვილი, ქეცბაია ან არჩილ არველაძეც ვათამაშოთ“.

ჯამარაულზე

„როგორ გგონიათ, რატომ არ უნდა გვეთამაშებინა ჯამარაული? მისი ჯინი ხომ არ გვჭირს. შეერებაზე ფეხბურთელებს ვუთხარით, როცა ბურთი მოწინააღმდეგეს აქვს, ყველა ართმევაში უნდა ჩაერთოთ. ჯამარაული ძალიან კარგი გამთამაშებელი და ტექნიკური ფეხბურთელია, მაგრამ ართმევაში მოისუსტებს. ჩვენ საქმეს პროფესიულად მივუდექით და რიგ თამაშებში ძირითადში ქინქლაძის დაყენება გადავწყვიტეთ.

შესაძლოა ჯამარაულის ადგილზე მენთეშაშვილი, ქეცბაია ან არჩილ არველაძე ვათამაშოთ“.

ახლა ვარჯიშზეც ვთქვათ. გუშინწინდელისგან განსხვავებით სიახლე ის იყო, რომ საერთო ჯგუფში მუშაობდნენ ალექსანდრე რეხვიაშვილი და არჩილ არველაძე. ნაკრების ექიმ დიმა ზაალიშვილის თქმით, მუხლშესიებული რეხვიაშვილის, გაცივებული არველაძისა და მცირედტოკვიანობენული კობიაშვილის პრობლემები მოგვარდა. ისინი იტალიასთან სათამაშოდ მზად არიან. აი, გიორგი ქინქლაძე კი მინდორზე ვერ გავა.

მეკარეებს კვლავ ოთარ გაბელია მოძღვრავდა. დანარჩენებთან კი მთავარი მწვრთნელები მუშაობდნენ — კვადრატი, ართმევა და კარში დარტყმები. ბოლოს ორად გაყოფილი გუნდის თამაშიც ათი-ათზე. ლურჯებში ლეგიონერები იყვნენ, ნარინჯისფრებში ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშენი. ლეგიონერთა კარს გვარამაძე იცავდა, „ეროვნულებისაში“ კი თითო გოლის შემდეგ ერთმანეთს ზოიძე და ხმელიძე ენაცვლებოდნენ. ლეგიონერებმა 3:0 მოიგეს.

სოლომონ გულისაშვილი
ბადრი კეთილაძის ფოტოები

გუშინდელ ვარჯიშზე: ირაკლი ზოიძე და ზურაბ მენთეშაშვილი; გიორგი ნემსაძე და თემურ ქეცბაია; დავით გვარამაძე და კახა კალაძე; ლევან კობიაშვილი და ოთარ გაბელია

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. VIII ჯგუფი. 1 ივნისი. ახალგაზრდულები

საქართველო — იტალია

თბილისი. „ეროვნული“. 20.15

ფეხბურთელი მოაზროვნე არსებაა ასწავლის კოპალეიშვილი ქართველ ახალგაზრდებს

გუშინ, თბილისის „დინამოს“ დიღმის საწვრთნელ ბაზაზე, საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა ბოლო საწვრთნელი ვარჯიში ჩაატარა იტალიასთან მატჩის წინ. ვარჯიშმა მეტად ხალისიან ვითარებაში ჩაიარა და დაახლოებით ორ საათს გასტანა. ბიჭები ერთმანეთს ამხნევებდნენ და მთავარი მწვრთნელის ვახტანგ კოპალეიშვილის მითითებებსაც შეძლებისდაგვარად ითვალისწინებდნენ. შეძლებისდაგვარადო, ვამბობ, რომ კოპალეიშვილი კომბინაციების დამუშავებისას ძალიან გაუბრაზდა შეგირდებს. „ეს ხომ ელემენტარულია, ცოტა აზროვნება უნდა, მეტი არაფერი“ — რამდენჯერმე შეუძახა მთავარმა მწვრთნელმა ბიჭებს. ამასობაში დავით გოგია მეკარეებს — გიორგი ლომაიასა და მირზა მერლანს აღვრევინებდა ოფსს. ისინიც თავს არ ზოგავდნენ და გულმოდგინედ ვარჯიშობდნენ.

აღსანიშნავია, რომ კოპალეიშვილს ძირითადი აქცენტი სისწრაფეზე და ერთი შეხებით თამაშზე ჰქონდა გადატანილი. ფეხბურთელებმაც თითქმის მთელი ვარჯიში ბურთთან ერთად გაატარეს.

ბოლოსკენ ორმხრივი თამაშიც გაჩაღდა, რომელსაც კოპალეიშვილმა ხუმრობით „საუკუნის მატჩი“ უწოდა. ის შეძახილებით მუუთითებდა თავდასხმელებს, რომ მეტოქის მცველებისთვის ბურთის თავისუფლად მიღების საშუალება არ მიეცათ, ასევე მოითხოვდა შუტევაზე სწრაფ გადასვლასა და უფრო მეტ აზროვნებას.

თამაშის შემდეგ ფეხბურთელებმა კარშიც ბლომად ურტყეს, ამაში კი ისინი აშკარად მოისუსტებენ. ვარჯიშის ბოლოს პენალტებშიც წაივარჯიშეს. იქნებ გამოადგეთ კიდეც.

ერთი რამ კი ცხადია: ტექნიკურ-ტაქტიკურ მომზადებაში ნამდვილად მოვიკოჭლებთ. ერთადერთი, რაც შეიძლება იტალიას დავუპირისპიროთ, ენინ, ბრძოლა და ერთსულოვნებაა. ამაში ვარჯიშის შემდეგ ვახტანგ კოპალეიშვილიც დაგვეთანხმა:

— ჩვენი მთავარი კოზირი ერთსულოვნება და თავდადებაა. დასაკარგი არაფერია, უნდა ვიბრძოლოთ.

— დაიმატებთ თუ არა ეროვნული ნაკრებიდან ლევან მელქაძეს?

— ეს საკითხი ხვალ გადაწყდება. ამ წუთში მეტი არაფრის თქმა შეძიძლია.

— იყო ლაპარაკი დავით ხმელიძის დამატებაზეც–

— დიახ. დიდი შანსია, რომ ხმელიძეც დაგვეხმაროს. საბოლოო პასუხი ამაზედაც ხვალ მექნება.

— ტრამვირებული ხომ არ არის ვინმე?

— ჩივაძესა და კორღალიძეს მიკროტრამვები აწუხებთ.

— რამდენად სერიოზულია ეს ტრამვები და ითამაშებენ თუ არა ისინი?

— საგანგაშო ნამდვილად არაა, თამაშს ალბათ შეძლებენ, თუმც ყურადღება მაინც უნდა მივაქციოთ.

ძახა შალამბერიძე

კლაუდიო ჯენტილე: ბევრი კი იცით, მაგრამ ჩვენ მოვიგებთ

იმედი იმისა, რომ იტალიის ახალგაზრუდლი გუნდიდან ვინმეს მოვიხელთებდით, თითქმის გაგვიქრა. ახალგაზრდა იტალიელები მხოლოდ ორი წუთით დაეშვნენ სასტუმრო „შერატონის“ ვესტიბიულში, თავიანთი ბარგი მოიკითხეს და ისევ ნომრებში დანაწილდნენ.

საათის ისარი ღამის თორმეტს უჭვენებდა. უიღბლობას შეგუებული წამოსვლას ვაპირებდით და უცბად წინ ტურინის „იუვენტუსისა“ და იტალიის ნაკრების ყოფილმა მოთამაშემ, მსოფლიოს ჩემპიონმა და ახალგაზრდულის თავკაცმა კლაუდიო ჯენტილემ ჩაგვიარა. სასტუმროს წინ გამოსულს დავეწიეთ და დღევანდელი მატჩისთვის კომენტარი ვთხოვეთ...

— რთული თამაში იქნება. იტალიას მოგება სჭირდება, რათა ჯგუფში პოზიციები გაიმყარონ. ქართველებმა სამივე თამაში წააგეთ, ამიტომ გამარჯვებისთვის, გაცილებით მეტი მოტივაცია გაქვთ. თქვენები ყველა ღონეს იხმარენ წარმატების მსაღწევად, რათა ჯგუფიდან გაღწევის მცირე შანსი მაინც გაიჩინონ. თანაც ამ შესარჩევი ციკლით არ მთავრდება ყველაფერი და იტალიის დამარცხება ფსიქოლოგიურადაც დაგეხმარებოდათ.

— მოგება კარგია, თუმც არა გვგონია, თქვენებმა რამე დაგვითმონ.

— ამაში ეჭვი არ შეგეპაროთ. იტალია მხოლოდ მოსაგებად ითამაშებს.

— ჩვენთვის ცნობილია, რომ ფორვარდები — კასანო და პირლო ტრავმირებულები არიან, მაგრამ თქვენ არ ჩამოგიყვანიათ ტროიზე, მორა, ბელინი და პინარდი.

—ჩვენზე საკმაოზე მეტი ინფორმაცია გქონიათ. მათაც ტრავმები აწუხებთ. საერთოდ, ფერმოს მატჩისგან განსხვავებით, შვიდი ახალი ფეხბურთელია გუნდში მცველები — კასტელინი „ტორინოდან“, გამბერინი „ბოლონიადან“, ლუკინი „ტერნანადან“. სამიც ნახევარმცველია — კოლუჩი „ვერონადან“, დონატი „ატალანტადან“, ვიკარი „რევინადან“. თავდასხმაში კი ერთადერთი ახალი მოთამაშეა, იაკინტა „რევინადან“.

კლაუდიო ჯენტილე

— გამომგზავრებამდე თქვენი გუნდი ტრაპატონისას შეაჯიბრეთ. ეროვნულმა ნაკრებმა რვა უპასუხო გოლი გაგიტანათ. როგორ ფიქრობთ, ძალიან ბევრი ხომ არ არის?

— ერთი სალაღობო თამაშის მიხედვით ნუ შეაფასებთ ჩემი გუნდის შესაძლებლობებს. იმ მარცხში საგანგაშოს ვერაფერს ვხედავ.

— ვინ მოიგებს ხვალ?

— ალბათ, იტალია.

მამუკა კვანტალიანი

ბადრი კეთილაძის ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

იტალია

ფეხბურთის ფედერაცია დაარსდა 1898 წელს.
ფიფას წევრია 1905 წლიდან, უეფას წევრი — 1954 წლიდან.
ფედერაციის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი: ჯოვანი პეტრუჩი.
გენერალური მდივანი: გილერმო პეტროზინო.
იტალიის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონი (3): 1934, 1938, 1982
ევროპის ჩემპიონი (1): 1968

სკუადრა აძურა თბილისშია

ჯოვანი ტრაპატონი
მთავარი მწვრთნელი
დაიბადა 1939 წლის 17 მარტს.
წვრთნიდა: „მილანს“, ტურინის „იუვენტუსს“, მილანის „ინტერს“, მიუნხენის „ბაიერნს“, „კალიარის“ და ფლორენციის „ფიორენტინას“.
2000 წლის ზაფხულიდან „სკუადრა აძურას“ მთავარი მწვრთნელია

ჯანლუიჯი ბუფონი
მეკარე. „პარმა“. 28.01.78. 191/91

ფრანჩესკო ტოლდო
მეკარე. „ფიორენტინა“. 02.12.71. 196/90

ფაბიო კანავარო
მცველი. „პარმა“. 13.09.73. 176/75

ალესანდრო ნესტა
მცველი. „ლაციო“. 19.03.76. 187/74

პაოლო მალდინი
მცველი. „მილანი“. 26.06.68. 187/85

ჯუზეპე კანკარო
მცველი. „ლაციო“. 26.08.71. 187/84

მარკო მატერაცი
მცველი. „პერუჯა“. 19.08.73. 193/82

ალესანდრო პიერინი
მცველი. „ფიორენტინა“. 22.03.73. 185/86

ფრანჩესკო კოკო
ნახევარმცველი. „მილანი“. 08.01.77. 181/78

ანჯელო დი ლივიო
ნახევარმცველი „ფიორენტინა“. 22.07.66. 173/73

სტეფანო ფიორე
ნახევარმცველი. „უდინეზე“. 17.04.75. 177/68

ფაბიო ლივერანი
ნახევარმცველი. „პერუჯა“. 29.04.76. 175/73

ალესიო ტაკინარდი
ნახევარმცველი. „იუვენტუსი“. 23.07.75. 187/80

ჯანლუკა ძამბროტა
ნახევარმცველი. „იუვენტუსი“. 19.02.77. 181/76

დამიანო ტომაზი
ნახევარმცველი. „რომა“. 17.05.74. 177/70

ლუჩანო ძაური
ნახევარმცველი „ატალანტა“. 20.01.78. 178/75

დამიანო ძენონი
ნახევარმცველი „ატალანტა“. 23.04.77. 185/74

ფრანჩესკო ტოტი
თავდამსხმელი. „რომა“. 26.09.76. 180/78

ალესანდრო დელ პიერო
თავდამსხმელი. „იუვენტუსი“. 09.11.74. 173/73

ფილიპო ინძაგი
თავდამსხმელი „იუვენტუსი“. 09.08.73. 181/74

ვინჩენცო მონტელა
თავდამსხმელი. „რომა“. 18.06.74. 172/68

მარკო დელვეკიო
თავდამსხმელი. „რომა“. 07.04.73. 186/78

საქართველო — იტალია

ექსკურსია მცირე ისტორიაში სარბიელთან ერთად

პერუჯამ იმედიც ჩაგვისახა

1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის
შესარჩევი ეტაპი. II ჯგუფი.
1996 წელი. 9 ოქტომბერი.
პერუჯა. „რენატო კური“

იტალია 1:0 საქართველო

1:0 რავანელი (43)
იტალია: ტოლდო, ფერარა, ნესტა, პესოტო, მალდინი, დი ლივიო (პანუჩი 81), კარბონი (ძოლა 16), დი მატეო, კონტე (დ. ბაჯო 59), კაზირაგი, რავანელი
საქართველო: ზოიძე, ლობჟანიძე, ცხადაძე, შელია, კუდინოვი (ინალიშვილი 46), გოგიჩაიშვილი, ნემსაძე, კობიაშვილი, ქეცბაია, ქინქლაძე, გოგრიჭიანი (რ. არველაძე 31)
გაფრთხილება: კუდინოვი
მსაჯი: ლ. ბლარო (ბელგია)

ახალგაზრდულები

იტალია 6:0 საქართველო

...გოლი ყველაზე ცუდ დროს გავიდა. პირველი გოლის ყბადაღებულ ფაქტორს, რომლითაც ჩივაძემ ყველა და მათ შორის მოთამაშენიც დააკომპლექსა, ისიც დაეთრთო, რომ ანგარიში სწორედ იმ დროს გაიხსნა, როცა გუნდები სადაცაა შესვენებაზე უნდა გასულიყვნენ და მწვრთნელთა დარიგებანი მოესმინათ. ამის გაკეთება ქართველთათვის 0:0-ზე უფრო იოლიც იქნებოდა და საშურიც, მაგრამ ასე არ მოხდა...

...მოკლედ ის შეიძლება ითქვას, რომ იტალია გუშინ ვერ იყო ის გუნდი, რომლის დაშამათება ჩვენებს არ შეეძლოთ. მეორე ტაიმში ქართველებმა ამისთვის ყველაფერი გააკეთეს, გოლის გატანის გარდა. წაგება, აბა, რომელია გასახარი. ეს მარცხი არც „მოგების ტოლფასი“ იყო, მაგრამ, თუნდაც პრაგმატული თვალსაზრისით, ანაც თვითრწმენის შესაძენად, ამ თამაშს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ახლა ჯერი კვლავ ჩივაძეზეა, იმედია, საინგლისოდ ჯამარაულიც გამოჯანმრთელდება და საექსპერიმენტოდ აღარ ექნება საქმე.

1996, 10 ოქტომბერი

თბილისში მურთაზ შელიამ და მისმა თანაგუნდელებმა კარი უვნებლად შეინახეს

ბაფი ჯეიმსონის ფოტო

პერუჯაში ქართველები რავანელიმ (შუაში) გაამწარა

იტალიელებს ყელში გავეჩხირეთ

1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის
შესარჩევი ეტაპი. II ჯგუფი.
1997 წელი. 10 სექტემბერი.
თბილისი. „ეროვნული“

საქართველო 0:0 იტალია

საქართველო: ზოიძე, შეყილაძე, ცხადაძე (კალაძე 19), შელია, ჩიხრაძე, ყაველაშვილი, კობიაშვილი, ქეცბაია, ქინქლაძე (გოგიჩაიშვილი 65), შ. არველაძე, ა. არველაძე (დარასელია 79)
იტალია: ბერუჯი, ნესტა, ფერარა, მალდინი, კანავარო, ლომბარდო (რ. ბაჯო 71), დ. ბაჯო, დი ლივიო, დი მატეო, ძოლა (ფ. ინძაგი 81), ვიერი (კაზირაგი 67)
გაფრთხილება: შეყილაძე, ა. არველაძე, დი მატეო, კანავარო
მსაჯი: პედერსონი (ნორვეგია)

ახალგაზრდულები

საქართველო 2:0 იტალია

რეალისტი გამხდარა ქართველი ხალხი. აბა, რას მივაწეროთ ის ოვაცია, საფინალო სასტვენის შემდეგ რომ გაიმართა?! შინ ფრედ ვითამაშეთ, ხალხმა კი ჩირაღდნები აანთო. გინახავთ, ადრე თბილისის სტადიონზე ვინმეს ფრე გაჰხარებოდეს? ახლა გაუხარდათ და ამ სიხარულის საბაბი სრულიად გასაგებია: შეურაცხმყოფელი და დამღლელი წაგებების შემდეგ ფრე, თანაც იტალიასთან...

...იტალიას წუხელ თბილისშიც გამარჯვება უნდოდა, სჭირდებოდა, სწყუროდა. მან მიზანს ვერ მიაღწია. საქართველოს? ამ წერილის ავტორი იმ ოთახში არ ყოფილა, საქართველოს ნაკრების უფროს-უმცროსები თავიანთ მიზანზე რომ საუბრობდნენ, მაგრამ, ვეჭვობ, ხმამაღლა თუ არ უთქვამთ, გულში არწაგებაზე ფიქრობდნენ და მიზანს მიაღწიეს. ესეც მორიგი საგონებელი. აქაც ორი მხარეა. ერთი მხრივ, მიზანს რომ დაისახავ და მიაღწევ, სერიოზულობის მანიშნებელია, მეორე მხრივ კი საკითხავია, მიზნად არწაგების დასახვა უნდა მოვიწონოთ თუ არა.

1997, 11 სექტემბერი

2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის
შესარჩევი ეტაპი. VIII ჯგუფი.
2000 წელი. 11 ოქტომბერი.
ანკონა. „დელ კონერო“

იტალია 2:0 საქართველო

1:0, 2:0 დელ პიერო (47, 88პ)
იტალია: ტოლდო, კანავარო, ნესტა, ბერტოტო, ალბერტინი, დი ლივიო, ფიორე (ბანჯარო 76), კოჯო, ტოტი (ბონტელა 83), დელ პიერო, დელვეკიო (გატუზო 52)
საქართველო: გვარამაძე, სიზანიშვილი, სილაგაძე, კალაძე, კობიაშვილი, რეხვიაშვილი, ყაველაშვილი, ნემსაძე, ქეცბაია (ბენთაშაშვილი 68), ქინქლაძე (ჯამარაული 61), ა. არველაძე (დემეტრაძე 61)
გაფრთხილება: ბერტოტო, ტოტი
მსაჯი: ჯ. ნილსონი (შვედეთი)

ახალგაზრდულები

იტალია 3:2 საქართველო

თამაში იყო!

ნაპერწკლისგან ალი არ აინთო

...ქართველებმა პირველ ტაიმში გონივრულად და ძლიერად ითამაშეს. თუმცა ეს მათი დღევანდელი შესაძლებლობების მაქსიმუმი იყო. ჩვენებურთა შემადგენლობის ნახევარი ხომ ნახევარი ფეხბურთელია: მეტის თამაში არ შეუძლია ახალნაოპერაციევ ქინქლაძეს, აღარ შეუძლია მობერებულ ქეცბაიას და კონკრეტულ შემთხვევაში არ შეეძლოთ მიკროტრავმებიან დემეტრაძეს და ჯამარაულს.

გოლის შემდეგ, მეორე ტაიმში იტალიელთა უპირატესობა უკვე აშკარა გახდა და სადავო აღარ გამოჩნდა, ის, რომ იტალიელთა შემადგენლობა ჩვენსას ბევრად სჯობს. ასეთ შემთხვევაში კი ქართველ მწვრთნელთა თუნდაც გონივრული ნაფიქრი წყალში გადაიყარა.

საქართველო დაუმარცხებელი ეწვია იტალიას, მაგრამ ვერ მოახერხა წაუგებელსვე დაეტოვებინა აპენინები. საქართველომ ლიტვა, საქართველო იტალიამ დაჩაგრა. ასეთია ჯერჯერობით ჩვენი როლი საფეხბურთო სამყაროში, რასაც ორი საკმაოდ სიმპათიური თამაშის მიუხედავად პროგრესი (მნიშვნელოვანი) ვერ დაერქმევა.

2000, 12 ოქტომბერი

REUTERS ანკონადან

ანკონაში ორივე გოლი, ორივე პენალტით ალესანდრო დელ პიეროს (№11) გაიტანა

REUTERS ანკონადან

ფრანჩესკო ტოტი და ალექსანდრე რეხვიაშვილი

კონფედერაციათა თასი

A ჯგუფი. I ტური

ბრაზილია 2:0 კამერუნი

1:0 ვაშინგტონი (52), 2:0 კარლოსი (57)
ბრაზილია: დიდა, ზე მარია, ლუსიო (კას

ინტერტოტოს თასი 2001
I ეტაპი. 16-17 ივნისი და 23-24 ივნისი

INTERTOTO CUP

ზაგრები (ხორვატია) — პობედა (მაკედონია)
უნივერსიტატია (რუმინეთი) — ბილიში (ალბანეთი)
გროცლინი (პოლონეთი) — სპარტაკი (ვარნა, ბულგარეთი)
ჰაპოელი (ჰაიფა, ისრაელი) — ტალინი (ესტონეთი)
ეკრანასი (ლიტვა) — არტმედია (სლოვაკეთი)
ტატაბანია (უნგრეთი) — შირაქი (სომხეთი)
ზაგლებე (პოლონეთი) — ჰიბერნიანსი (მალტა)
ორჰუსი (დანია) — ცელიე (სლოვენია)
დანდი (შოტლანდია) — ? (იუგოსლავია)
სენტ ჯულია (ანდორა) — ლოზანა (შვეიცარია)
მიუპა (ფინეთი) — გლორია (რუმინეთი)
ანართოსისი (კვიპროსი) — სლავენი (ხორვატია)
? (ბოსნია) — დენიზლისფორი (თურქეთი)
ვიტ ჯორჯია (საქართველო) — რიდი (ავსტრია)
კარმარტენ თაუნი (უელსი) — აიკ (შვედეთი)
ტოფტირი (ფარერები) — ლოკერენი (ბელგია)
დინამო (მინსკი, ბელარუსი) — ჰობაიდი (ლუქსემბურგი)
ტილიგული (მოლდოვა) — კლიფტონვილი (ჩრდ. ირლანდია)
გრინდავიკი (ისლანდია) — ვილიაში (აზერბაიჯანი)
კორკ სიტი (ირლანდია) — მეტალურგსი (ლატვია)

II ეტაპზე გასვლის შემთხვევაში, თბილისური „ვიტ ჯორჯია“ შეხვდება ფრანგულ „ტრუას“, მატჩები გაიმართება: 30 ივნისი-1 ივლისი და 7-8 ივლისს

Copa Toyota Libertadores '2001

ლიბერტადორესის თასი 2001

1/4 ფინალი. საპასუხო მატჩები

** კრუზეირო (ბრაზილია) 2:2 (პენ.2:3) პალმეირასი (ბრაზილია) (3:3)**
1:0 ალექსანდრო (5), 1:1 არსე (54), 2:1 კრისი (60), 2:2 ალეშანდრე (80)
კრუზეირო: ანდრე, ნენემი (მარკოს პაულუ 75), კრისი, ლეონზარო, ალექსი, ვინისიუსი, რიკარდინიო, კლებერი, ვაგნერი (ჯეფერსონ 67), ალექსანდრო (მ. რამოსი 83), ოსვალი
პალმეირასი: მარკოსი, არსე, ალეშანდრე, ლეონარდო, ფელიპე, გალეანო, ფერნანდო, ლოპესი, ალექსი, ფუნინიო (პასილიუ 46), ფაბიო ფუნიორი (ტუტა 46; ლ. მუნიოსი 56)
60 000 მაყურებელი

ბოკა ხუნიორსი (არგენტინა) 3:0 ვასკუ და გამა (ბრაზილია) (1:0)
1:0 მატელანი (11), 2:0, 3:0 ბაროს შელატო (21:3, 31)
ბოკა ხუნიორსი: ო. კორდობა (ბონდანსიერი 71), იბარა, ბერმუდესი, ბურდისო, მატელანი, ვილარეალი, სერნა, ტრავერსო (პერედა 67), რიკელმე (გაიტანო 79), დელგადო, გუსტავო ბაროს შელატო
ვასკუ და გამა: ელტონი, კლებსონი, ოდვანი, ა. ტორესი (ენრიკე 8; პედრინიო 46), ფორლანი პაულისტა, პაულუ მირანდა, ფორლანი, ნასა, ფუნინიო პაულისტა, ეულერი, ვიოლა
50 000 მაყურებელი

კრუზ ასული (მექსიკა) 3:0 რივერ პლეიტი (არგენტინა) (0:0)
1:0, 2:0 პალესია (20, 26), 3:0 კარდოზო (44)
კრუზ ასული: ო. პერესი, გუტიერესი (ო. როდრიგესი 79), ანგელესი, ალმაგერი, მ. ბრაუნი, გალდამესი, ხ. ერნანდესი, პინეირო, ა. მორალესი (ადომაიტისი 75), პალესია (ე. მორა 64), ხ. კარდოზო
რივერ პლეიტი: კონსტანტინ, განდოლფი, იეპესი, გარსე, რ. რობასი, ე. დიასი, ასტრადა (პერეირა 65), დალესანდრო (დ. ალვარესი 46), ორტეგა, სავიოლა, კარდეტი (კუბასი 70)
110 000 მაყურებელი

1/2 ფინალის წილისყრა
კრუზ ასული (მექსიკა) — როსარიო სენტრალი (არგენტინა)
ბოკა ხუნიორსი (არგენტინა) — პალმეირასი (ბრაზილია)

I მატჩები — 6 ივნისი, საპასუხოები — 13 ივნისი

დერბიმ პროსინეჩკის მიაგნო

რობერტ პროსინეჩკი

„დერბი ქაუნთის“ მწვრთნელ ჯიმ სმიტს „პრაიდ პარკზე“ გამოცდილი ხორვატი გამთამაშებლის რობერტ პროსინეჩკის გადაყვანა მონდომებია და საამისოდ ბელგიური „სტანდარდის“ ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკება დაიწყო.

პრემიერლიგური კლუბიდან წასვლას მალე სტეფანო ერანიო აპირებს, სმიტს კი მისი ღირსეული შემცვლელი სჭირდება, 32 წლის ხორვატსაც ამიტომ მიაგნო ლიეჟში.

ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ პროსინეჩკი ზაგრების „დინამოში“ თამაშობდა, თუმცა ხელმძღვანელობასთან უთანხმოების გამო კლუბი დატოვა და რამდენიმე თვის წინ ბელგიაში გადავიდა. „სტანდარდის“ შემადგენლობაში ცუდი სეზონი სულაც არ გამოსვლია და ჩასვლისთანავე გუნდის ერთ-ერთ ლიდერადაც იქცა.

თავის დროზე პროსინეჩკის „ბარსელონაში“ და მადრიდის „რეალში“ უთამაშია. სულ კი ესპანეთში 6 წელი გაატარა, სადაც ზემოხსენებული ორი კლუბის გარდა „სევილიასა“ და „ოვიედოს“ ღირსებასაც იცავდა. ჯამში მან პრიმერადივიზიონში 125 მატჩი ჩაატარა.

ბოლოს დავძენთ, რომ ათი წლის წინ პროსინეჩკი ბელგრადის „ცრვენა ზვეზდასთან“ ერთად ჩემპიონთა თასის მფლობელი გახდა.

ნიკა ფუგლაძე

ლუის არაგონესმა (მარჯვნივ) მალიორკელები დააღონა და გააოგნა

არ მინდა ლიგა!

უხუცესი ესპანელი მწვრთნელი ძველ დროს იხსენებს

მეტად უცნაური განცხადება გააკეთა „მალიორკას“ მწვრთნელმა ლუის არაგონესმა, სეზონის ბოლოს გუნდიდან მიდდივარ, საბოლოოდ გადავწყვიტეო.

მართლაც უცნაურია — კაცმა გუნდი ჩემპიონთა ლიგაში გაიყვანა და ახლა, როცა წესით ამხელა გარჯის შედეგი უნდა მოიმკოს, მიდის.

62 წლის ლუის არაგონესი ყველაზე გამოცდილ მწვრთნელად ითვლება ესპანეთში და ეს მხოლოდ მისი ასაკის გამო არაა. მას პრიმერადივიზიონის რვა კლუბში უმუშავია, მათ შორის „ატლეტიკოში“, „ბარსელონაში“ და „ვალენსიაში“. ბოლო „ბალეარებთან“ მიმდინარე სეზონში ორჯერვე დაამარცხა ჩემპიონი „რეალი“, ფრედ ითამაშა ბარსელონაში და ლა კორუნიაში, შინ კი ორივეს სძლია.

ლუის არაგონესმა გაოგნებულ მალორკელ ქომაგთა ინტერესის დაკმაყოფილება ჯერჯერობით არ ისურვა და წასვლის მიზეზად ბუნდოვანი და არაფრისმთქმელი „სპორტული მიზეზი“ დაასახელა. ცნობილია მხოლოდ ის, რომ არაგონესი, ასაკის მიუხედავად, ჯანმრთელობას არ უჩივის და არც რაიმე ოჯახური პრობლემა აქვს.

ესპანურ პრესაში უკვე გაჩნდა ვარაუდები, რომ დაბადებით მადრიდელს თავისი ძველი კლუბი „ატლეტიკო“ ეპატიჟება და ასეთი გადაწყვეტილების მიზეზიც ეს გახდა. ისიც ითქვა, არაგონესს ვალენსიადანაც შეეხმიანენ და უარი უთხრა.

თავად მწვრთნელმა კი თქვა, ნაუცბათევი გადაწყვეტილება არ გეგონოთ, ჯერ კიდევ თებერვალში ვიცოდი, სეზონის ბოლოს რომ წავიდოდი, მაგრამ გახურებული ჩემპიონატის დროს ამაზე ლაპარაკი გუნდს ავნებდაო.

ბოლოს გავიხსენოთ, რომ არაგონესამდე ჩემპიონთა ლიგაში გაყვანილი გუნდის მწვრთნელობა ექტორ რაულ კუპერმაც მიატოვა. 1999 წელს მან „მალიორკა“ „ვალენსიაში“ გაცვალა, ხოლო „მალიორკა“ საკვალიფიკაციო ეტაპზე ნორვეგიულმა „მოლდემ“ დაჯაბნა.

გიორგი დარჯანია

აბა, პასპორტი მაჩვენე!

ევროკავშირული ინკვიზიცია პრიმერა და სეგუნდა დივიზიონებში

ესპანეთის მეორე დივიზიონში გამალებული, დაძაბული ბრძოლაა გაჩაღებული. არცაა გასაკვირი, სეზონის ბოლოს ზოგი პრიმერადივიზიონში აღზევებისთვის იბრძვის, ზოგი კი მეორე დივიზიონში ადგილის შესანარჩუნებლად ხავსს ეჭიდება. საოცარი მხოლოდ ისაა, რომ გუნდების დაპირისპირების ადგილს სტადიონიდან სასამართლო დარბაზში გადაუნაცვლებია. დიახ, ზოგიერთები ისევ და ისევ ყბადაღებული ყალბი პასპორტის თემის გარშემო ტრიალებენ და სეზონის მიწურულს მხოლოდ იმაზე ფიქრობენ, როგორმე ერთმანეთი დაასმინონ და ქულები წაგლიჯონ.

წინა უქმეებზე მეორე დივიზიონში წყალწაღებული აუტსაიდერების „ხეტაფეს“ და „კომპოსტელას“ მატჩი შედგა. „ხეტაფეს“ მწვრთნელმა მეორე ტაიმში კამერუნელი ჟან ბოულის ნაცვლად მოედანზე გერმანელი ფორვარდი მიჰაელ ჰერნანი შეუშვა. მასპინძლებმა 2:1 იმარჯვეს, მაგრამ ფეხბურთის ფედერაციამ მატჩის საბოლოო ანგარიშად 0:3 მიიჩნია. დაიჩაგრნენ ხეტაფელები, თუმცა სამართლიანად.

თურმე პირველ ტაიმში მათ ოთხი არაევროპელი ფეხბურთელი ჰყავდათ მოედანზე, რომლებსაც ევროკავშირული პასპორტი არ აქვთ. მიხვდა თავის შეცდომას მწვრთნელი, ამიტომაც გაიყვანა კამერუნელი, მაგრამ გვიან და ახლა სასწაული უნდა მოხდეს, გუნდმა დივიზიონში ადგილი რომ შეინარჩუნოს. სეზონის ბოლომდე სამი ტურია დარჩენილი და „ხეტაფემ“ ქულების მაქსიმუმი, ხოლო მისმა კონკურენტებმა მინიმუმი უნდა დააგროვონ.

„ხეტაფეს“ პრეზიდენტი აღშფოთებულია და ჩივილსაც აპირებს, თვლის, რომ მის გუნდს კუთვნილი, დივიზიონში დასარჩენი სამი ქულა უნდა დაუბრუნდეს. ვგონებ, პრეზიდენტის გულისტკივილს ფედერაცია არ გაიზიარებს და ხეტაფელებს კანონების უცოდინარობა, რომელიც ესპანურ კლუბებს მოედანზე ერთდროულად მხოლოდ სამი არაევროკავშირელის გამოყვანის უფლებას აძლევს, ძვირად, მეორე დივიზიონის დატოვებად დაუჯდებათ.

„ხეტაფეს“ უდარდელობა გვარიანად წაადგა „კომპოსტელას“. მეტოქის სამზე მეტმა უცხოელმა მას სამი ქულა აჩუქა და გასავარდნად თითქმის განწირულებს იმედიც ჩაუსახა.

„კომპოსტელას“ მსგავსად, სამი ქულის მოხვეჭა სურს „ბეტისსაც“. ივი მეორე დივიზიონში მეორე ადგილზეა და აღზევებისთვის დამატებითი ქულები არ აწყენდა. „ბეტისს“ პრეტენზიები მდევარ „ტენერიფესთან“ აქვს. სევილიელები კანარელებთან წაგებას ვერ ეგუებიან და კანონსაც იხვევენ ხელზე. „ტენერიფეს“ ბრაზილიელ მობურთალ ბარატას თაღლითური გზით მოპოვებული ევროკავშირული პასპორტი აღმოუჩინეს. შესაბამისად, კუნძულელებს „ბეტისთან“ თამაშში დაშვებულ ნორმაზე მეტი უცხოელი ჰყავდათ.

შეგახსენებთ, რომ სევილიელები ერთი ქულით უსწრებენ „ტენერიფეს“ და თუ მათი საჩივარი ფეხბურთის ფედერაციამ შეიწყნარა, ისინი მომავალ სეზონში პრიმერადივიზიონს უცილობლად დაუბრუნდებიან. პირველ და მეორე დივიზიონს შორისაა გამოკიდებული ჯერ კიდევ ხელიგელი სანტანდერის „რასინგი“. კანტაბრიელებს ელიტაში დასარჩენად მცირეოდენი თეორიული შანსიღა აქვთ. მაგრამ გამოუვალი მდგომარეობა არ არსებობსო და გუნდის ხელმძღვანელობასაც ესპანეთში ნაცადი ხერხისთვის მიუმართავს. სანტანდერელები „ლას პალმასს“ სამ ქულას ედავებიან. თურმე კანარის კუნძულელთა შემადგენლობაში მოთამაშე ალვარო და ბაიანო ევროკავშირული ყალბი პასპორტებით სარგებლობდნენ. „ლას პალმასს“ თავის მართლებისთვის არგუმენტი არ აქვს. თუკი „ხეტაფე“ დასჯეს, „ბეტისმაც“ და „რასინგმაც“ კუთვნილი სამი ქულა უნდა მიითვალონ.

გიორგი გამარდაშვილი

დიდი ბავშვი პატარებში


ერიკ კანტონა

ერიკ კანტონა, „მანჩესტერ იუნაიტედის“ საუკუნის საუკეთესო, „ოლდ ტრეფორდზე“ ბრუნდება. ადვილი წარმოსადგენია მანჩესტერელთა აღტაცება — ჯილა კვლავ მათ გვერდითაა. ფრანგი „იუნაიტედის“ ბავშვებს დამძღვრავს, სათამაშო გამოცდილებას გაუზიარებს და მებრძოლ სულსაც შთაბერავს.

კანტონას სამწვრთნელო ამბიციებს სერ ალექს ფერგიუსონიც მოუხიბლავს. დიდი გურუს აზრით, საუკეთესო წითელი ეშმაკის პირველი ნაბიჯები, შესაძლოა, არცთუ ისე წარმატებული გამოდგეს, მაგრამ ყმაწვილებთან მუშაობა თავად ახალგამოძცხვარ მწვრთნელს ბევრს შესძენს. ისე, ერიკს მოზარდებთან საერთო ენის გამონახვა არ უნდა გაუჭირდეს, მიუხედავად ასაკისა, ის ხომ ჯერ კიდევ დაუღვინებელი, რა თქმა უნდა, არასაფეხბურთო თვალსაზრისით, კაცია და ერთი (თუგინდ ძრავალი) შეხედვით დიდი ბავშვის შთაბეჭდილებას ტოვებს.

ჰოლანდია

KNVB

პლეი ოფი

B ჯგუფი. I ტური

ექსელსიორი (R) — კამბური (II) 3:2; სპარტა — გოუ ეჰედ იგლზი (II) 3:1

სპარტა	1	1	0	0	3:1	3
ექსელსიორი	1	1	0	0	3:2	3
კამბური	1	0	0	1	2:3	0
იგლზი	1	0	0	1	1:3	0

24 ინფორმაცია საათის განმავლობაში
ფეხბურთი, NHL, NBA
☎ 8 22 009 000, 8 22 009 001
(1 წთ / 50 თეთრი)

ნიხლის კვალი ნაქცევულზე

კრისტოფ დაუმს ნარკოდილერობასაც აბრალებენ

კრისტოფ დაუმი

გერმანიაში კვლავ იფეთქა ნარკო სკანდალმა.

როცა სიტყვები „გერმანია“ და „კოკაინი“ გვესმის, უმალ კრისტოფ დაუმი გვახსენდება და ამ ახალი სკანდალის მიზეზიც სწორედ ისაა.

უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ კრისტოფ დაუმის კოკაინისადმი ტრფიალის ძველ საქმეში პროკურატურამ ახალი შტრიხები აღმოაჩინა და გამოძიებას შეუდგა.

საქმის არსი ასეთია: ქალაქ კობლენცის პროკურორი ოთხი ნარკოდილერის ამბავს იძიებს და კვალმა კრისტოფ დაუმამდე მიიყვანა. ირკვევა, რომ ეს ოთხი სისტემატურად ამარაგებდა „ლევერკუზენის“ ყოფილ მწვრთნელს და საკმაოდ დიდი რაოდენობითაც. ციფრები გვეუბნება, რომ 1999 წელს დაუმმა ამ დილერთაგან ოცდაოთხჯერ, ხოლო 2000 წელს ოცდაცხრამეტჯერ შეიძინა კოკაინი და თითო აღებაზე სამ-ხუთ გრამს ყიდულობდა. კობლენცელი პროკურორის აზრით, კოკაინის აღნიშნული დოზები საკმაოდ დიდია იმისთვის, რომ კრისტოფ დაუმი უბრალო მომხმარებლად მივიჩნიოთ და გავრცელების ბრალდებას უყენებს.

აღვნიშნოთ, რომ გერმანიაში ნარკოტიკების მომხმარებელს კანონზე მეტად საზოგადოებრივი აზრი სჯის, რისი დასტურიცაა კრისტოფ დაუმის „ლევერკუზენიდან“ და ბუნდესსკრების დაპირებული მწვრთნელობიდან განდევნა.

მაგრამ გავრცელებაზე თუ მიდგა საქმე, კანონი დაუნდობელია და გვარიან ჯარიმასთან ერთად ხუთ წლამდე პატიმრობასაც ითვალისწინებს.

კრისტოფ დაუმს ამის თაობაზე ჯერ არაფერი განუცხადებია. თუ თავად არა, ამას მისი ადვოკატები მაინც გააკეთებენ, თუმცა რასაც იტყვიან, წინდაწინვე ცნობილია.

ვფიქრობთ, თავიანთ კლიენტს ასე გამართლებენ — აღნიშნული რაოდენობა ბევრი სულაც არაა. დღეში დაახლოებით გრამის მესამედი გამოდის. დაუმი კოკაინს შპრიცით რომ მოიხმარდეს, კი, ბევრია, მაგრამ ის იყნოსავდა და ამ შემოხვევაში ერთი კაცის მცირე ულუფაა.

ან იმას როგორ ვიტყვით, რომ დაუმი კოკაინს ყიდდა. კოლუმბიაში ერთი გრამი კოკაინი ერთი დოლარი ღირს, ხოლო გერმანიაში — ასი. რომ დავუშვათ, რომ კრისტოფ დაუმი გრამს ერთ დოლარად ყიდულობდა, რაც არარეალურია, გამოდის, რომ ორ წელიწადში მან ოცდახუთი ათასი დოლარი იშოვა. როგორ გგონიათ, კაცი, რომელიც ამ ფულს მწვრთნელობით ერთორ კვირაში შოულობს, ასეთ საქმეზე წავიდოდა?

ვფიქრობთ, კრისტოფ დაუმის ადვოკატები სწორედ ასე იტყვიან და არცოუ უსაფუძვლოდ.

გიორგი დარჯანია

ესპანური სააგენტოების ცნობით, „ვალენსია“ „ბოკა ხუნიორსის“ მწვრთნელ კარლოს ბიანკისთან აწარმოებს მოლაპარაკებებს და ექტორ რაულ კუპერის გუნდიდან წასვლის შემთხვევაში შესაძლოა „მესტალიაზე“ სწორედ არგენტინელი მივიდეს. ასევე შეგახსენებთ, რომ კარლოს ბიანკის თავისთან მიწვევა „ბარსელონასაც“ განუზრახავს. ცნობისთვის: ბიანკის ევროპაში უკვე უმუშავია, იგი „რომას“ წვრთნიდა, თუმცა შემდეგ საშობლოში დაბრუნდა. „ველეს სარსფილდს“ მან ლიბერტადორესის თასი მოაგებინა, ასეთივე წარმატებას მიაღწია „ბოკა ხუნიორსშიც“, შარშან კი ბუენოსაირესული კლუბი საკონტინენტთაშორისო თასსაც დაეუფლა.

ინგლისელმა მცველმა ფილ ნევილმა „მანჩესტერ იუნაიტედთან“ ახალ კონტრაქტს მოაწერა ხელი, იგი „ოლდ ტრეფორდზე“ კიდევ ექვსი წელიწადი ითამაშებს. ცნობისთვის: 24 წლის ფეხბურთელს მიმდინარე შეთანხმების დასრულებამდე კიდევ ოთხი წელი ჰქონდა დარჩენილი. „კლუბის შეფ პიტერ კენიონს მხოლოდ რამდენიმე წუთს ვესაუბრე, ხოლო ამის შემდეგ ხელშეკრულებაც გავაფორმე. „იუნაიტედში“ ძალიან ბედნიერი ვარ და კიდევ ერთხელ დავამტკიცე, რომ აქედან წასვლა არასდროს მსურდა“ — განაცხადა ნევილმა, რომელმაც მანჩესტერულ კლუბთან ერთად ხუთჯერ მოიგო ინგლისის ჩემპიონატი. ინგლისის ნაკრებში კი მან 32 შეხვედრა ჩაატარა.

იტალიური „პარმას“ „ასტონ ვილას“ ნახევარმცველის, მაიკლ სტენდინგის შეძენა სურს. ამ ფეხბურთელს რამდენიმე თვეში ბირმინგემულ კლუბთან კონტრაქტი უსრულდება და მისი გადაბირების სურვილს ბირმინგემის მეორე გუნდი — „სიტი“ და „უოტფორდიც“ გამოთქვამენ. 20 წლის სტენდინგის აგენტმა განაცხადა: „ყველაზე რეალურია, რომ მაიკლი „პარმაში“ ჩაირიცხოს, იტალიურ კლუბთან მოლაპარაკებებში უახლოეს დღეებში დასრულდება“. ინგლისის ახალგაზრდული ნაკრების მოთამაშის გაშვება „ასტონ ვილას“ არ სურს და ცდილობს, მასთან ხელშეკრულება გაახანგრძლივოს. თუმცა ასე, ალბათ, არ მოხდება.

გერმანულმა „ლევერკუზენმა“ ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული ავსტრიელი ფეხბურთელი, ემანუელ პოგატეცი გადაიბირა და „კარნტენს“ მის სანაცვლოდ 650 ათასი გირვანქა გადაუხადა. 16 წლის მარცხენა მცველი ბუნდესლიგაში ახალი სეზონიდან ითამაშებს. აღსანიშნავია, რომ მისი ყიდვა გრაცის „შტურმსა“ და „აიაქსსაც“ სურდათ, თუმცა, „კარნტენის“ ხელმძღვანელობის განცხადებით, ბუნდესლიგელთა შეთავაზება ყველაზე ხელსაყრელი იყო.

არგენტინული „სან ლორენსოს“ ნახევარმცველ გილერმო ფრანკოს „ვალენსია“ ეპატიჟება და თანახმაა, მის სანაცვლოდ 4 მილიონი გირვანქა გადაიხადოს. ამ ორი კლუბის პრეზიდენტები უკვე შეხვდნენ ერთმანეთს და მალე, ალბათ, კონტრაქტიც გაფორმდება. ფრანკო „სან ლორენსოს“ ამჟამინდელი მწვრთნელის, მანუელ პელეგრინის ტაქტიკურ სქემას ვერ ერგება და იძულებულია, კლუბი დატოვოს. თანაც ტრანსფერიდან შემოსული თანით არგენტინული გუნდი ვალის დაფარვას აპირებს.

გერმანულმა „ვოლფსბურგმა“ უკვე მეხუთე ფეხბურთელი შეიძინა. ბოლო ახალწვეული სლოვაკეთის ნაკრების ნახევარმცველი მიროსლავ კარჰანია, რომელიც ბუნდესლიგელებმა „ბეშიქთაშიდან“ 2 მილიონ გირვანქად გადაიბირეს. „ვოლფსბურგი“ გაისად ინტერტოტოს თასზე ითამაშებს და მწვრთნელი ვოლფგანგ ვოლფი ცდილობს, გუნდი გააძლიეროს.

ქურდებმა ჰიცფელდს ტაქტიკურად აჯობეს

გოლის ნაცვლად სახლი გაუტანეს

გუშინწინ ღამე, როცა ბუნდესლიგისა და ჩემპიონთა ლიგის მომგებ ოტმარ ჰიცფელდს ვალმოხდილი კაცის ძილით ეძინა, მის სახლს მიუნხენის ფეშენებელურ კვარტალ გრუნვალდში მძარცველები ესტუმრნენ. ოტმარ ჰიცფელდი მდიდარი კაცია და მათ გვარიანად მოითბეს ხელი — დაახლოებით 91 ათასი დოლარის ღირებულების ნივთები და ძვირფასეულობა წაიღეს, თან განთქმული მწვრთნელის გოლფის ჩანთაც გაყოლეს ხელს.

და ეს ყველაფერი რითი წაიღეს? ფრაუ ჰიცფელდის მანქანით.

ოტმარ ჰიცფელდს კი ამ დროს მშვიდად ეძინა, როგორც ვთქვით, ვალმოხდილი კაცის ღრმა ძილით.

გიორგი დარჯანია

1868 წლიდან: "მიხეილის" საქალაქო საავადმყოფო

1924 წლიდან: რესპუბლიკური საავადმყოფო ჰლეხანოვზე

1973 წლიდან: რესპუბლიკური ცენტრალური კლინიკური საავადმყოფო ვაჟა-ფშაველაზე

2000 წლიდან: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიკოს ნ. ყიფშიძის სახელობის

ცენტრალური კლინიკა



მისამართი

ვეი109. ვაჟა-ფშაველას 29

ტელეფონები

კანცელარია: 39 23 89

ცნობათა ბიურო: 39 22 89

მიმღები განყოფილება: 39 26 32

საუკუნოვანი გამოცდილება
უახლესი ტექნოლოგიები

ქაჯობის წამალი ციხეა

თურქეთის პროკურატურამ „გალათასარაის“ ნახევარმცველის გეორგე ჰაჯის წინააღმდეგ გაილაშქრა და გამოძიება წამოიწყო. თუმცაღა გამოსაძიებელი აქ ბევრი არაფერია. სამართალდამცავები საუკუნის რუმინელს კაცის გალახვაში ადანაშაულებენ და თუ ყველაფერი დაამტკიცეს, კარპატების მარადონად წოდებული ეგებ ოთხი წლით ციხეში ჩასვან.

საკმაოდ გახმაურებული ამბავია. 10 მარტს თურქეთის ჩემპიონატში, „გალათასარაისა“ და „გენჩლერბირლიგის“ მატჩში, მსაჯმა ერულ ერსოუმ ჰაჯის უხეშობა არ აპატია და მისი მოედნიდან გაგდება დააპირა... ახალს არაფერს აღმოვაჩენთ, თუ ვიტყვით, რომ ჰაჯი და მსაჯები ერთმანეთთან კარგ დამოკიდებულებაში ვერ არიან. საუკუნის რუმინელი სანაკრებო, საჩემპიონატო თუ ჩემპიონთა ლიგის მატჩებში მინდორზე განზრახ უხეშობით ძალიან ხშირად აძლევს საბაბს არბიტრებს, რომ იგი ან გააფრთხილონ, ანაც სულაც გაადონ.

ასე იყო 10 მარტის შეხვედრაშიც. ჰაჯიმ თავისი საქციელით ბოლომდე აუგსო მოთმინების ფიალა მსაჯ ერსოუს, ისიც იძულებული გახდა, ჯიბეზე ხელი ვაევლო და წითელი ბარათი ამოეღო, აქ იწყება ყველაზე საინტერესო.

საზოგადოდ ფეხბურთელთა უმრავლესობა ასეთ შემთხვევაში ბრაზდება, უარეს შემთხვევაში იგინება, ანაც მაისურს დაანარცხებს მინდორზე და თავჩაღუნული გაიდის გასახდელში. თუმცაღა ჰაჯი რისი ჰაჯია, რაიმე განსხვავებული არ ჩაიდინოს. როგორ ფიქრობთ, რა შეფასებას იმსახურებს მოთამაშე, რომელიც არბიტრს შეაფურთხებს, ფეხს დაბიჯებს, ხელს ჰკრავს და გალახვას დაუპირებს? თანაგუნდელები მისცვივდნენ რუმინელს და საბრალო არბიტრი ხელიდან გამოჰგლიჯეს.

ამ ინციდენტის შედეგი ადრეც გაუწყეთ, თურქეთის ფეხბურთის ფედერაციამ რუმინელი ექვსმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა. ახლა ჰაჯი პროკურორებს ჩაუვარდა ხელში, ისინი კი საუკუნის კაცს ხულიგნობაში სდებენ ბრალს და აკი გიფხარით, ოთხწლიანი პატიმრობით ემუქრებიან.

ნიკა შუბლაძე

ევროპის 2003 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირი. 3 ივნისი. თბილისი. სპორტის სასახლე. 18 საათი

საქართველო — ბულგარეთი

ორი ხუთეული თუ ხუთ-ხუთი ორგან?

ჩვენთვის ესთეტიკა შედეგია

ბურაგ დულინსკაგელის ფოტო

საქართველოს საკალათბურთო ნაკრები, რომელიც ევროპის 2003 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპისთვის მოსამზადებელ შეკრებას სლოვენიაში გადიოდა, გუშინ გამთენიისას თბილისში დაბრუნდა. ჩვენმა გუნდმა რამდენიმე საკონტროლო მატჩი გამართა და მხოლოდ ერთხელ დამარცხდა, ისიც ჩვენი ლეგიონერებით დაკომპლექტებულ „სლოვანთან". თუმც ამ თამაშების ანგარიშს ჩვენი გუნდის მთავარი მწვრთნელისთვის ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა. თუ რატომ, სჯობს ეს ზურაბ ტომარაძისგან მოვისმინოთ, რომელმაც ნაკრების სლოვენიურ შეკრებაზე დაწვრილებით გვესაუბრა.

— როგორ ჩაიარა სლოვენიურმა შეკრებამ, კმაყოფილი ხართ?

— პირველ რიგში მინდა, მადლობა გადავუხადო „სლოვანის" ხელმძღვანელობას, რომელმაც გულთბილად მიგვიღო და ფაქტობრივად იდეალური პირობები შეგვიქმნა მოსამზადებლად. ასევე კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტ გოგი ქათამაძეს და ვიცე-პრეზიდენტ დუდუ დადიანს, რომელთა გარეშეც ეს შეკრება არ მოხერხდებოდა.

გავმართეთ ამხანაგური მატჩები. ჩვენი პირველი მეტოქე სლოვენიის ყველაზე ტიტულიანი კლუბი „ოლიმპია" იყო. მართალია, ისინი ცოტა შესუსტებული შემადგენლობით იყვნენ, თუმც მათ შორის რამდენიმე უმაღლესი დონის მოთამაშეც იყო. ეს შეხვედრა ფრედ დავასრულეთ. თამაშის შემდეგ „ოლიმპიას" მწვრთნელმა ზმაგო საგადინმა სურვილი გამოთქვა, კვლავ გვეთამაშა და რამდენიმე დღეში კიდევ ერთი შეხვედრა გავმართეთ მათთან. მინდა გითხრათ, რომ ამ თამაშში ჩვენმა გუნდმა შესანიშნავი შთაბეჭდილება დატოვა, ყველა მოთამაშე ბრწყინვალედ გაისარჯა. იყო მომენტი, როცა 25 ქულით ვიგებდით, საბოლოოდაც გავიმარჯვეთ.

ამის შემდეგ „სლოვანს" ვეთამაშეთ. ჩვენი ლეგიონერები თავის გუნდში გამოდიოდნენ. ორი ქულით დავმარცხდით. აღსანიშნავია, რომ ამ მატჩში ნუგზარ კოკოლიშვილის თამაში „სლოვანის" ხელმძღვანელობას ძალიან მოეწონა. მას სოლიდური კონტრაქტიც კი შესთავაზეს. სპორტული სიტყვა ნუგზარზეა. შევხვდით ასევე სლოვენიის უმაღლესი ლიგის გუნდ „ჰელიოსს". თამაში გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. თავიდან ათ ქულას ვაგებდით, შემდეგ ოცდაათი ქულით გავედით წინ, მაგრამ მინდა გითხრათ, რომ ჩვენთვის არც ერთ მატჩში ანგარიშს არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. მთავარი ყურადღება სხვადასხვა კომბინაციის დამუშავებას ექცეოდა. ძირითად აქცენტს პრესინგზე, თამაშის დახვეწაზე ვაკეთებდით. ცხადია, ამგვარი თამაშები ნაკრებს ძალიან სასიკეთოდ წაადგება მოახლოებულ შეხვედრების წინ.

— რაიმე სიახლე ხომ არ არის ნაკრებში ტაქტიკის მხრივ?

— რამდენჯერმე შევხვდი „სლოვანის" მწვრთნელ ტომო მაჰორიჩს. ამაზე ერთობ ნაყოფიერად ვისაუბრეთ. მართალია, ჩვენი შეხედულებები თამაშის ტაქტიკასთან დაკავშირებით რამდენადმე განსხვავდება, მაგრამ ამას არ შეუშლია ხელი, მისგან რამდენიმე კომბინაცია გადმოგვედო. ეს ეხება ძირითადად ზონური დაცვის წინააღმდეგ თამაშს. ჩვენ, რა თქმა უნდა, ეს ბრძად არ გაგვიკეთებია. გავითვალისწინეთ ნაკრების მოთამაშეთა პოტენციალი და აქცენტი იმ ტაქტიკურ მონახაზებზე გავაკეთეთ, რომლებიც ყველაზე კარგად ესადაგებოდა მათ სათამაშო დონესა და ფიზიკურ კონდიციებს.

— რთული სეზონის შემდეგ როგორ ფორმაში არიან „სლოვანში" მოთამაშე ლეგიონერები?

— მე ძალიან ხშირად ვესწრებოდი „სლოვანის" ვარჯიშებს. ასევე საშუალება მქონდა, მენახა ის მატჩები, რომლებშიც მათ ბრინჯაოსთვის გამართეს. ძალიან კმაყოფილი ვარ მათი ფიზიკური, ასევე სათამაშო ფორმით. ბოისას, ცქიტიშვილსა და უგრეხელიძეს ყველა თამაშში უწევდათ მონაწილეობა და ის, რომ „სლოვანმა" თავის ისტორიაში პირველად მოახერხა თავის ეროვნულ ჩემპიონატში მესამე საპრიზო ადგილის დაკავება, თამამად მინდა განვაცხადო, უდავოდ ჩვენი ბიჭების დამსახურებაა. განსაკუთრებით გამოირჩეოდა დავით უგრეხელიძე, რომელმაც ბოლო ორი შეხვედრა ფანტასტიკურად ჩაატარა. მისი სახით ჩვენს ნაკრებს სოლიდური ძალა ემატება. ბოისას გუნდში თავდამსხმელად უწევდა თამაში, ჩვენ კი ნაკრებში იგი უფრო პერიმეტრზე მოთამაშედ წარმოგვიდგენია. იგივე მინდა ვთქვა ნიკა ცქიტიშვილთან დაკავშირებით. გვსურს, რომ იგი ცოტა გარეთ გამოვწიოთ. მართალია, ოდნავ გადაღლილები ჩანან, რადგან უმძიმესი სეზონი ჰქონდათ, მაგრამ ეს არაფერია, მომავალ თამაშებამდე ყველაფერი მოგვარდება.

— რამდენადაც ვიცით, დავით ბერძენიშვილის სათამაშო ფორმით კმაყოფილი ხართ...

— ნამდვილად. ეს ბიჭი გასულ წელს ტრავმებმა გატანჯა და მართალი გითხრათ, მისი იმედი დიდად არ მქონდა, თუმცა მის პროფესიონალიზმში ეჭვი არასდროს შემიტანია. ის თამაში, რომელიც მან საკონტროლო მატჩებში აჩვენა, ჩვენთვის სასიამოვნო მოულოდნელობა იყო. იგი ჩინებულ ფორმაშია.

— რევაზ ჩხეიძესთან დაკავშირებით რას გვეტყვით?

— რეზოს სეზონი 25 მაისს დაუმთავრდა. როგორც ჩვენი ბოლო სატელეფონო საუბრიდან ვიცი, იგი ოცდახუთშივე უნდა დაგვმატებოდა, მაგრამ ასე არ მოხდა და იგი მხოლოდ ხვალ ჩამოდის თბილისში. ვფიქრობ, მისი ბულგარელებთან თამაში არ მოხერხდება. თუმცა ის ჩვენთან ერთად ივარჯიშებს და თუ სათანადო ფორმაში იქნება, მომავალ შეხვედრებში ითამაშებს.

— საბოლოო ათეული ხომ არ გამოიკვეთა?

— ჯერჯერობით გადაწყვეტილი არ მაქვს, ვინ ითამაშებს ბულგარელებთან. დავიწყოთ იქიდან, რომ ყველა კანდიდატი შესანიშნავ ფორმაში იმყოფება და საკმაოდ ძნელია რომელიმე მათგანის გამორჩევა. ათეულის დაკომპლექტებაში გადამწყვეტ როლს ითამაშებს ის, თუ რა პრინციპით მოხდება შემადგენლობის შერჩევა. არის ორი ალტერნატივა. პირველი, ორი ხუთეული შევარჩიოთ და მეორე, ხუთი ფარზე და ხუთიც პერიმეტრზე მოთამაშე. ამ ორი ვარიანტიდან რომელი აჯობებს, ეს მაშინ უფრო მეცოდინება, როცა ბულგარელთა შემადგენლობა გახდება ცნობილი.

— გუნდის მომზადებიდან გამომდინარე, ბულგარელებთან მატჩს ალბათ დიდი ოპტიმიზმით ხვდებით.

— რა თქმა უნდა. მომავალ მატჩს დიდი იმედით ვუყურებ. პროგნოზის გაკეთება არ მინდა. ერთ რამეს კი ვპირდები გულშემატკივარს, რომ ჩვენ ვიბრძოლებთ. შეიძლება, კალათბურთი უფრო ცოტა იყოს, მაგრამ ბრძოლა ბოლომდე იქნება. როცა ასეთი პრინციპული თამაშია, აქცენტის გაკეთება ესთეტიკურ მხარეზე, ვფიქრობ, ზედმეტი ფუფუნებაა ჩვენი დონის ნაკრებისთვის. ჩვენთვის მთავარია შედეგი. რაც შეიძლება მეტი ქულით უნდა მოვიგოთ, თუ შემდეგ ეტაპზე გვინდა გასვლა, რადგან ყოველ ბურთს შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს. ჩვენი გუნდი ძირითადად დაცვიდან ითამაშებს. ვეცდებით, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, მოწინააღმდეგის ყველა შეტევა ჩავშალოთ და შემდეგ დაცვიდან სწრაფ კონტრშეტევებზე ავაგოთ თამაში. ეს იქნება ოში და გაიმარჯვებს ის, ვისაც მეტი ბრძოლისუნარიანობა და გამძლეობა აღმოაჩნდება.

ირაკლი პერტაია

ხვალ გამთენიისას ზაზა ფაჩულია თბილისში იქნება

ვიცე-პრეზიდენტმა დადიანმა ულქერს ყველა გზა მოუჭრა

ზაზა ფაჩულიასგან გუშინწინ შევიტყვეთ, რომ მისი გუნდი, სტამბოლის „ულქერი", საქართველოს კალათბურთის ფედერაციის მოთხოვნის მიუხედავად, მის ნაკრებში გამოშვებას არ აპირებდა. ამ საკითხის გასარკვევად დავუკავშირდით კალათბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ დუდუ დადიანს, რომელიც გუშინ დაბრუნდა გერმანიიდან, სადაც იქ გამართულ ფიბა-ს კონგრესს დაესწრო.

— რამდენიმე დღეში ბულგარელებთან ვთამაშობთ, ზაზა ფაჩულია კი კვლავ თურქეთშია. დაეხმარება თუ არა ამ ეტაპზე იგი საქართველოს ნაკრებს?

— თავიდან დავიწყებ. მოგეხსენებათ, სტამბოლის „ულქერი", რომელშიც ზაზა ფაჩულია გამოდის, თურქეთის ჩემპიონატის ფინალში გავიდა და კლუბის ხელმძღვანელობას, ცხადია, მისი გამოშვება არ სურდა. ჩვენ აქამდე რამდენჯერმე გავუგზავნეთ ოფიციალური შეტყობინება, რომ საქართველოს ნაკრებს ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე მნიშვნელოვანი თამაშები ელის და ვთხოვდით ამ მატჩებისთვის ზაზა ფაჩულიას გამოშვებას, რაზეც არანაირი რეაგირება არ მომხდარა. თურქები ყველანაირად ცდილობდნენ, რაიმე მიზეზი გამოენახათ მისი იქ დატოვების გასამართლებლად. ხან რისი ტრავმა მოუმიზეზეს და ხან რისი.

ფიბა-ს დებულების თანახმად, სწორედ დღეს იწყებოდა ის ვადა, როცა კლუბი ვალდებულია, გაათავისუფლოს ნაკრებში სათამაშოდ გამოძახებული კალათბურთელი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ფიბა-ს დებულებითვე გამომდინარე, გუნდს ეკისრება ჯარიმა 150 ათასი მარკის ოდენობით, ხოლო მის მიერ ჩატარებული ყველა მატჩის შედეგი, რომელშიც ის ლეგიონერი მიიღებს მონაწილეობას, რომლის გათავისუფლებაზეც კლუბმა უარი განაცხადა, გაუქმდება. ამის მიუხედავად, თურქები არ აპირებდნენ ფაჩულიას გამოშვებას და მისგან ცრუ დასტურს ითხოვდნენ, ვითომდა ტრავმა აწუხებდა. ეს ზაზამ სატელეფონო საუბრისას განმიმარტა. ამის გამო დავუკავშირდი „ულქერის" გენერალურ მენეჯერს, ლუტფი არიბოგანს, რომელსაც შევახსენე ნაკისრი ვალდებულებები. იგი ბოლო მომენტამდე ცდილობდა, როგორმე დაერწმუნებინე, როგორ ესაჭიროებოდა „ულქერს" ფაჩულიას დახმარება, მაგრამ ყური არ ვათხოვე. ერთი სიტყვით, გინდა თხოვნით დაარქვით და გინდა მუქარით, საწადელს მივაღწიე. საბოლოოდ არიბოგანი დამპირდა, რომ ზაზას თავის ხელით ჩასვამს თბილისისკენ მომავალ პირველივე ავიარეისზე, რომელიც პარასკევს შუაღამისას არის დანიშნული.

— ესე იგი პრობლემა მოგვარებულია.

— ასე გამოდის, ოღონდ ერთი პირობით: ფაჩულია სტამბოლში ექვს ივნისს დაბრუნდება. მე უფლება არ მქონდა, არ დავყოლოდი ლუტფი არიბოგანის თხოვნას, რომელმაც განმიმარტა, რამდენად მნიშვნელოვანი თამაშები ელის მის გუნდს ფინალში და რომ ისინი ზაზაზე დიდ იმედებს ამყარებენ. იგი ითამაშებს ბულგარეთთან და ბელარუსთან, ხოლო აზერბაიჯანში ვერ დაგვეხმარება, თუმც, ვფიქრობ, ზაზას არყოფნის მიუხედავად, მესამე თამაშში პრობლემები არ უნდა შეგვექმნას.

— ორგანიზაციული თვალსაზრისით, მომავალ მატჩებთან დაკავშირებული რაიმე პრობლემა ხომ არ გაქვთ?

— სწორედ დღეს შეხვდებიან ფედერაციის პრეზიდენტი გოგი ქათამაძე და სპორტის დეპარტამენტის თავჯდომარე ირაკლი მეძმარიაშვილი ფინანსთა მინისტრს. მან უნდა გამოგვიყოს თანხები, რომლითაც დაიფარება ყველა ხარჯი მსაჯების ანაზღაურებიდან დაწყებული, მოწინააღმდეგე გუნდის მიღებით დამთავრებული. სხვა მხრივ ჩვენ ყველანაირად მზად ვართ, ნაკრების თამაშები სათანადო დონეზე ჩავატაროთ.

— თქვენ ახლახან დაბრუნდით გერმანიიდან, სადაც ფიბა-ს კონგრესს დაესწარით...

— ძირითადად ერთი საკითხის ირგვლივ მიდიოდა მსჯელობა. მოგეხსენებათ, ფიბა-ში განხეთქილებაა. ევროპის ქვეყნებს სურთ, გამოეყონ ამ ორგანიზაციას და ჩამოაყალიბონ ევროპის დამოუკიდებელი ლიგა. ამ კონგრესს 49 ქვეყნის ფედერაციის წარმომადგენელი ესწრებოდა. გაიმართა ფარული კენჭისყრა. ოცდაათმა ქვეყანამ მხარი დაუჭირა ფიბა-სგან დამოუკიდებელი ლიგის შექმნას. აქედან გამომდინარე, ფიბა-ს გავლენა ევროპაში შესუსტდება და ქვეყნებს თვითონ მიეცემათ შესაძლებლობა, მათთვის საჭირბოროტო საკითხები დამოუკიდებლად გადაწყვიტონ.

ირაკლი პერტაია

სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ

დღეს, 13 საათზე, თბილისის სპორტის სასახლეში პრესკონფერენციას გამართავენ საქართველოს კალათბურთის ფედერაციის და ეროვნული ნაკრების ხელმძღვანელები

NBA: კონფერენციების ფინალი (ოთხ მოგებამდე)

გმირმა ცოლს ულალატა

ალმოსავლეთი

30 მაისი

ფილადელფია	3
მილუოკი	2

ფილადელფია 89:88 მილუოკი

ფილადელფია: მუტომბო (21 ქულა, 13 მოხსნა), სნოუ (18), აივერსონი (15 ქულა, 9 მოხსნა, 8 პასი, 4 ჩაჭრა), მაკკი (15)
მილუოკი: რობინსონი (22), ალენი (20), კასელი (18 ქულა, 12 მოხსნა), ტომასი (15)

დრო არ ითმენს, ყველაფრისდა მიუხედავად, დღე დღეს მიჰყვება, ოკეანგაღმა ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში კი თამაში თამაშს, ოდენ ერთდღიანი ინტერვალით. და რაც უფრო გადის დრო, მით უფრო უჭირს ალენ აივერსონს იმ გმირობების ჩადენა, რომლებსაც ცოტა ხნის წინ ლამის ყოველდღე სჩადიოდა. მისი ტრავმები მსოფლიო საკალათბურთო წრეებში საყოველთაო განსჯის საგანი და „ფილადელფიის" არაერთი მარცხის მიზეზი შეიქნა. დაშავებული კუდუსუნი უარყოფითად მოქმედებს აივერსონის თამაშის ხარისხზე, ტკივილი კი სულ უფრო ძლიერდება, რამაც ნბა-ს უძლიერეს მოთამაშეს სამიზნეც მოუშალა.

30 მაისს აივერსონის მონაგარმა ოდენ 15 ქულა შეადგინა, მაშინ, როცა მისი საშუალო შედეგიანობა ორ ამდენს აღემატება. აივერსონმა ააცილა პირველი შვიდი სროლა, შემდეგ შუა თამაშში კიდევ ზედიზედ ცხრა და ბოლო სამი, სულ კი 27 სროლიდან მხოლოდ ხუთი ჩაადგა და ლამის დაღუპა თავისიანები. თუმც გასაგები მიზეზების გამო იგი არავის გაუკრიტიკებია. ამასთან, აივერსონმა ბევრი სარგებელი მოიტანა მოხსნების, პასებისა და ჩაჭრების სახით.

და მაინც, „ფილადელფიამ" მოუგო ღონიერ „მილუოკის" კიდევ ერთი ნახევრად საჰარის წყალობით. მატჩის გმირობა გასათადარიგოებულმა ძირითადმა ერიკ სნოუმ ითავა, რომელიც იმიტომ შევიდა მოედანზე, რომ აივერსონისთვის პასები მიეწოდებინა. მაგრამ როცა შეატყო, გუნდის ლიდერი მთლად ზუსტად ვერ ისროდა, თავად მიჰყო ხელი მილუოკელთა კალათის ბომბვას და საბოლოოდ საპლეიოფო კარიერაში ყველაზე მეტი — 18 ქულა მოიხვეჭა. მანვე ჩააგდო მასპინძელთა ორი უკანასკნელი ბურთი და „სიქსერზი" კვლავ დაწინაურა სერიაში. არადა, სნოუს კარიერა ბეწვზე ჰკიდია. მას აქილევსის მყესი აქვს დაზიანებული. ექიმებმა ისიც უთხრეს, თუ ითამაშებ, შეიძლება გაიწყვიტო კიდეც, რაც შენს კარიერას თუ ბოლოს არ მოუღებს, დიდ დაღს დასვამს. მაგრამ სნოუს გადაწყვეტილება ვერავინ შეაცვლევინა, თვით ცოლმაც კი და ჭეშმარიტად გმირული საქციელი აკი დაუფასდა კიდეც.



REUTERS ფილადელფიიდან

ფილადელფიელი ალენ აივერსონი ლინდსი ჰანტერსა (მარცხნივ) და დერვინ ჰემს შორის შეიჭრა

ისევე, როგორც ყველა წინამორბედი, ეს თამაშიც დაძაბული გამოდგა. ფილადელფიური მანქანა გამართულად კი მუშაობდა, მაგრამ აივერსონის უზუსტობამ „მილუოკის" ხელი შეაშველა და სტუმრებმა პირველი მეოთხედი 29:21 მოიგეს, რაც ძირითადად მათი ლიდერების — რეი ალენისა და გლენ რობინსონის დამსახურებაა. ამ დუეტს მეორე მეოთხედში რობინსონის შემცვლელი ტიმ ტომასიც დაეხმარა, რომელმაც პირველ ნახევარში 13 ქულა დააგროვა და „მილუოკი" ერთი ხანობა 16 ქულითაც დაწინაურდა. თუმც დამტკიცდა, რომ ასეთ თამაშში, როცა ერთი გუნდის აფეთქებას მეორისა ცვლის, თანაც წინ კიდევ 30 წუთია, ეს სხვაობა ბევრს არ ნიშნავს. „ფილადელფიამ" დიდ შესვენებამდე შვიდი ქულა გაქვითა, დანარჩენიც მესამე მეოთხედში და გუნდებმა გადამწყვეტ თორმეტწუთეულში თანაბარი ანგარიშით - 70:70 შეაბიჯეს.

შეხვედრის დასკვნითი ნაწილიც ისეთივე ქანცგამწყვეტი იყო, როგორიც მთლიანად მატჩი. საფინალო სირენამდე 35 წამით ადრე სნოუმ ზედიზედ მეორედ ჩააგდო ექვსი მეტრიდან და მასპინძლებს სამქულიანი უპირატესობა მოუპოვა — 89:86. 18 წამით ადრე მილუოკელმა ჯეისონ კეფემ მინიმუმამდე დაიყვანა სხვაობა, ხოლო ოთხი წამის შემდეგ სტუმრები დროების მოგების მიზნით მასპინძელ აარონ მაკკიზე დაჯარიმდნენ. მათ აშკარად გაუმართლათ, მაკკიმ ორივე ააცილა და ლამის გაუფუჭა საქმე თავისიანებს. „ბაქსმა" შესანიშნავად გამოიყენა დარჩენილი დრო, მაგრამ... „ფილადელფია" ბოლო წამებზე ერთობ დაბნეული იყო და კინაღამ დაისაჯა. მასპინძელთა პირველი შეცდომა ის იყო, რომ სირენამდე ოთხი წამით ადრე ფარის გვერდით სამი მეტრის მოშორებით გლენ რობინსონი მარტო დატოვეს. მეორედ მაშინ შეცდნენ, როდესაც რეი ალენს რობინსონის აცილებული ბურთის დამატების საშუალება მისცეს. დაბოლოს, ალენის აცილებული კეფის მოახსნევინეს და ასროლინეს. ამ სამი სროლის დროს ფილადელფიელი მეფარეები ოდენ ჰაერს ეპოტინებოდნენ. მილუოკელთა ამ სამი სროლიდან კი მხოლოდ კეფისა ჩაეშვა კალათში, მაგრამ, სტუმართა სამწუხაროდ, ალენისა და კეფის სროლებს შორის ფილადელფიელთა გამარჯვების მაუწყებელი სირენა გაისმა.

ირაკლი ფირაფვილი

სლოვენია ევროპის ჩემპიონატი

პლეი ოფი

ფინალი (სამ მოგებამდე)

ოლიმპია	3
კრკა	0

ოლიმპია 90:74 კრკა

ოლიმპია: ველში (14), გოლემაცი (11), ბეჩიროვიჩი (16), მოდრიჩი (6), ბრეუეცი (9), ჯორდანი (7), ფუკაუსკასი (8), კოვაჩიჩი (19)
კრკა: ანზულოვიჩი (5), ივეტოვიჩი (7), დონჩიჩი (16), პეტროვი (9), დევისონი (16), გრუმი (2), დრობნიაკი (9), კორტნი (8), ივაშკოვიჩი, მიჰაილოვიჩი (2)

საბერძნეთი

პლეი ოფი

პირველი წრე (ორ მოგებამდე)

ოლიმპიაკოსი	2
ირაკლისი	0

ირაკლისი 90:96 ოლიმპიაკოსი

აეკ	2
პანიონიოსი	0

პანიონიოსი 72:73 აეკ

ნახევარფინალი (ორ მოგებამდე)

პანათინაიკოსი — აეკ

პერისტერი — ოლიმპიაკოსი

ნახევარფინალები 6 ივნისს დაიწყება

იტალია

პლეი ოფი

ნახევარფინალი (სამ მოგებამდე)

სკავოლინი	0
ფორტიტუდო	1

სკავოლინი 69:86 ფორტიტუდო

კინდერი	1
ბენეტონი	0

კინდერი 79:65 ბენეტონი

პირველი კაპიტანი

სპორტის სათამაშო სახეობებში საქართველოს რამდენიმე დიდი გუნდი ჰყავდა, მათ შორის ხელბურთის „ბურევესტნიკი". ასაკოვან გულშემატკივრებს, ცხადია, მშვენივრად ახსოვთ 60-იანი წლების სტუდენტ ხელბურთელთა „ოქროს" თაობა, რომელმაც იმ დროისთვის უდიდეს წარმატებას მიაღწია — 1962 წელს საბჭოთა კავშირის პირველი ჩემპიონატი მოიგო, ორი წლის შემდეგ კი ეს ტრიუმფი გაიმეორა.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს ბიჭებს არც სპორტული ჟინი აკლდათ და არც ოსტატობა დაეწუნებოდათ, 1962-ში „ბურევესტნიკის" ასე მაღლა აფრენას მაინც არავინ ელოდა. აკი თავად იმ პირველი, ისტორიული ჩემპიონატის მონაწილეებსაც არაერთხელ უთქვამთ, მაქსიმალური შედეგი, რასაც ვგეგმავდით, საპრიზო სამეულში მოხვედრა იყო. ფავორიტებად მოსკოვის „ტრუდი" და კაუნასის „ატლეტასი" ითვლებოდნენ, მაგრამ ჩვენი ხელბურთელების გამოსვლა ნამდვილ სენსაციად იქცა — მწვრთნელ გიორგი შარაშიძის აღზრდილებმა შვიდიდან ხუთი მატჩი მოიგეს, ორიც ფრედ დასრულეს და მეტოქეებისთვის მიუწვდომლები გახდნენ. კაუნასის გადაჭედილ „სპორტპალეში" საჩემპიონო უზარმაზარი თასი „ბურევესტნიკის" პირველმა კაპიტანმა თამაზ ანთაძემ ჩაიბარა.



ბადრი ჯობელაძის ფოტო

თამაზ ანთაძე და მისი საუკეთესო ნახატი

აპრილის იმ დაუვიწყარი დღის შემდეგ თითქმის ორმოცი წელი გავიდა. ოქროსთაობელ ბიჭებს ასაკი მოეძალათ. დღეს ბატონი თამაზი, იგივე „ფარჩო", 66 წლის გახდა. შეიძლება ეს ბევრმა მისმა ახლობელმაც კი გაიოცოს, რადგან „ესტატინს" ასაკისა არაფერი ეტყობა — უწინდებურად ენერგიულად გამოიყურება, კვლავ ჩვეულ სპორტულ ფორმაშია, რადგან არც ჩოგბურთს ანებებს თავს და არც თხილამურებზე სრიალს.

ბატონ თამაზზე „სარბიელში" პირველი ვრცელი წერილი ზუსტად ათი წლის წინ გამოვაქვეყნეთ. „ფარჩომ" მაშინ ხელბურთელთა პირველ ეროვნულ ჩემპიონატში მიიღო მონაწილეობა ვეტერანთა გუნდის შემადგენლობაში. ვეტერანთა შორისაც კი ყველაზე ვეტერანი ბევრად უმცროსებზე მეტ ხანსაც ატარებდა მოედანზე და გოლებიც ბლომად გაჰქონდა.

„ესტატინი" ამ ათ წელიწადში თითქმის არ შეცვლილა — იგივე „მსუბუქი" წონა, მხნე, სპორტული იერი, როგორც ყოველთვის ენაწყლიანი, სასიამოვნო მოსაუბრე. მას შემდეგ, რაც ოციოდე წლის წინ ხატვის ნიჭიც აღმოაჩნდა, ფუნჯის გარეშე ცხოვრება ველარ წარმოუდგენია.

ჩვენი მორიგი შეხვედრაც მილოცვის შემდეგ სწორედ ამ ბოლო პერიოდის გახსენებით დაიწყო:

— ბატონო თამაზ, თქვენს ცხოვრებაში მნიშვნელოვანი რა მოხდა ამ ათი წლის მანძილზე?

— დიდი დრო ქუვეითში გავატარე, იქაურ ხელბურთელთა ნაკრების მეორე მწვრთნელად ვმუშაობდი, ამასთან მთავარ მწვრთნელს, წლების მანილზე საბჭოთა კავშირის ნაკრების თავკაც ანატოლი ევტუშენკოს, თარჯიმნობას ვუწევდი. სწორედ იმხანად, 90-იანი წლების შუაში ქუვეითელმა ხელბურთელებმა თავიანთ ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს — ბაჰრეინში, აზიის თამაშებში მეორე ადგილზე გავიდნენ კორეის შემდეგ, მომდევნო გათამაშებაში, საკუთარ მოედანზე კი პირველობაც მოიპოვეს ფინალში იმავე კორეის ძლევით. კორეელი ხელბურთელები ქუვეითელებზე იმდენად ძლიერები არიან, რომ ასიდან ყველა თამაშს მოუგებდნენ. ასე რომ, მასპინძელთა ჩემპიონობა მსაჯებთან ევტუშენკოს აქტიური მუშაობის შედეგი უფროა.

ავტოპორტრეტი

სამი წლის წინ დავბრუნდი საქართველოში. არსად ვმუშაობ, ამიტომ მთელი თავისუფალი დრო და საზღვარგარეთ მუშაობისას დანაზოგი თანხა ახალი ბინის მოწყობას მოვახმარე. ხუთი წლის წინ ვაჟიშვილი შემეძინა, მეოთხე შვილი და ახლა ჩემი მთავარი საზრუნავი ისაა, რომ ესტატე ნორმალურ ადამიანად გავზარდო. ყველა ახალგაზრდამ უნდა იცოდეს ცურვა, ჩოგბურთის თამაში და თხილამურებზე სრიალი. ყოველივე ამას ჩემს ბიჭს, ბუნებრივია, ვასწავლი, მერე კი ვნახოთ, მოინდომებს თუ არა სპორტს რომ გაჰყვეს. ჯერჯერობით ბურთზე მეტად სხვა აინტერესებს — დინოზავრებზე გიჟდება. ჰოდა, თუ მეცნიერების ნიჭი აღმოაჩნდება, ამას რა სჯობს, ხოლო დაძალებით დიდი სპორტსმენი ვერ გახდება.

— თითქმის ოცდაათი წელი მწვრთნელად მუშაობდით. რას თვლით თქვენს ყველაზე დიდ მიღწევად?

— სამოცდაათიან წლებში თელავში „ალაზანმშენის" მთავარ ინჟინრად ვმუშაობდი, თან იქაურ ჭაბუკ ხელბურთელებს ვავარჯიშებდი. როგორც მწვრთნელმა, ყველაზე დიდ წარმატებასაც მაშინ მივაღწიე. 1974 წელს სოხუმში მოსწავლეთა სპარტაკიადაზე ჩვენმა გუნდმა თბილისის ნაკრები დაამარცხა. ეს უზარმაზარი სენსაცია იყო.

— ქართული ხელბურთის ხვალინდელ დღეზე რას ფიქრობთ?

— არავისთვის საიდუმლო არაა, რომ ბოლო დროს სპორტში მთავარი მამოძრავებელი ძალა ფული გახდა. თუ ფული გაქვს, ესე იგი გაქვს ნორმალური დარბაზი, სავარჯიშო პირობები, შეკრებები, უცხოელებთან ამხანაგური შეხვედრები, სადაც ხდება ოსტატობის დახვეწა. გაჭირვების გამო, საუბედუროდ, ყოველივე ამას მოკლებულნი ვართ. დაბალია მწვრთნელთა დონე, რადგან საზღვარგარეთ სემინარებზე ვერ დადიან და კვალიფიკაციას ვერ იმაღლებენ. არ გვყავს უმაღლესი კატეგორიის მსაჯები, რაც არცთუ უმნიშვნელო დეტალია. ერთი სიტყვით, თითქმის ვაკუუმში ვართ, თუმცა, ამის მიუხედავად, ხელბურთი საქართველოში მაინც არსებობს და რამდენიმე ნიჭიერი, ევროპული დონის მოთამაშეც გვყავს. სანამ ნაკრები და კლუბები ყველა ოფიციალურ თამაშს სტუმრად გამართავენ, რაიმე წარმატებაზე ფიქრიც კი ზედმეტია. მატერიალური ხელშეწყობის გარეშე ვერაფერს მივაღწევთ.

გია ახალაძე

სარბიელი
სპორტული ლატარია
კროკო

იტალია. სერია B. 37-ე ტური

3 ივნისი

18.00	001	კალიარი-ტერნანა	2,1	2,5	3,4
18.00	002	კიევო-სალერნიტანა	1,5	3,0	5,0
18.00	003	ჩიტადელა-სიენა	1,9	2,7	4,4
18.00	004	კროტონე-პესკარა	1,5	3,0	5,0
18.00	005	ემპოლი-ანკონა	1,6	3,0	5,6
18.00	006	პისტოიეზე-პიაჩენცა	2,5	2,3	2,5
18.00	007	რავენა-ვენეცია	3,4	2,9	1,9
18.00	008	სამპდორია-მონცა	1,2	5,0	9,0
18.00	009	ტორინო-კოზენცა	1,5	3,1	6,0
18.00	010	ტრევიზო-ჯენოა	2,0	2,8	3,0

იტალია. სერია C1. პლეი-ოფი. II მატჩები

3 ივნისი

19.30	011	კომო-სპეცია	1,65	2,9	6,0
19.30	012	ლივორნო-არეცო	1,75	2,8	5,0
19.30	013	მესინა-ასკოლი	1,6	2,8	6,5
19.30	014	კატანია-აველინო	1,85	2,7	4,7

იტალია. სერია C1. პლეი-აუტი. II მატჩები

3 ივნისი

19.30	015	კარარეზე-ბრეშელო	2,0	2,5	4,2
19.30	016	ლოდიჯანი-ატლეტიკო	1,8	2,9	3,6
19.30	017	ნოჩერინა-ვიტერბეზე	1,65	2,8	5,0
21.00	018	ალძანო-რეჯანა	2,1	2,4	4,0

ესპანეთი. II დივიზიონი. მე-40 ტური

2 ივნისი

21.30	019	ლევანტე-ბეტისი	3,5	2,8	1,95

3 ივნისი

14.30	020	ხეტაფე-ფეროლი	1,95	2,9	3,4
15.00	021	ლეგანესი-კორდობა	1,8	2,7	4,0
21.00	022	სპორტინგი-ბადახოსი	1,75	2,6	5,0
22.00	023	მურსია-ეიბარი	1,85	2,9	3,8
22.00	024	ლეიდა-უნივერსიდადი	2,1	2,9	3,2
22.00	025	ალბასეტე-ატლეტიკო	2,5	3,0	2,5
22.00	026	სალამანკა-ესტრემადურა	1,75	2,9	4,7
22.00	027	უელვა-კომპოსტელა	1,7	3,0	3,0
22.00	028	ხაენი-ელჩე	1,85	3,0	2,8
23.00	029	სევილია-ტენერიფე	2,0	3,0	3,1

ჰოლანდია. პლეი-ოფი. A ჯგუფი. 1-ლი ტური

3 ივნისი

17.30	030	ტელსტარი-ვოლენდამი	2,2	3,0	3,1
17.30	031	ზვოლე-სიტარდი/გრააფსხაპი	1,0	1,0	1,0

ჰოლანდია. პლეი-ოფი. B ჯგუფი. მე-2 ტური

2 ივნისი

22.30	032	იგლსი-ექსელსიორი	2,3	3,2	2,7

3 ივნისი

17.30	033	კამბური-სპარტა	2,4	3,1	2,6

პოლონეთი. გადადებული მატჩი

2 ივნისი

22.00	034	გურნიკი-ამიცა	1,5	3,0	3,8

პოლონეთი. ლიგის თასის ფინალი. II მატჩი

3 ივნისი

19.30	035	ვისლა-ზაგლებე	1,45	3,6	5,6

მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები

2 ივნისი

19.00	501	ირლანდია-პორტუგალია	2,5	2,9	2,6
19.00	502	ჩრდილოეთ ირლანდია-ბულგარეთი	3,4	2,9	2,1
19.00	503	უელსი-პოლონეთი	3,5	3,0	2,0
20.00	504	რუსეთი-იუგოსლავია	1,9	3,0	3,8
20.00	505	სომხეთი-ბელარუსი	2,8	3,1	2,3
21.00	506	საქართველო-იტალია	ანგარიში	–	5,0
21.00	507	ისლანდია-მალტა	1,1	7,0	14,0
	508	ისლანდია-მალტა 0:2	1,5	4,0	3,0
21.00	509	შვედეთი-სლოვაკეთი	1,55	3,3	6,0
21.00	510	უკრაინა-ნორვეგია	1,8	3,1	4,0
22.00	511	ფინეთი-გერმანია	5,0	3,2	1,65
22.00	512	ესტონეთი-ჰოლანდია	12,0	6,0	1,15
22.00	513	ლიხტენშტაინი-ისრაელი	14,0	7,0	1,1
22.15	514	დანია-ჩეხეთი	2,3	2,9	3,0
22.30	515	თურქეთი-აზერბაიჯანი	1,03	8,0	16,0
22.30	516	რუმინეთი-უნგრეთი	1,55	3,3	6,0
23.00	517	საბერძნეთი-ალბანეთი	1,3	4,0	7,5
	518	საბერძნეთი-ალბანეთი 0:1	1,8	3,4	2,6
23.00	519	მაკედონია-მოლდოვა	1,45	3,6	6,5
23.00	520	ბელგია-ლატვია	1,1	7,0	14,0
	521	ბელგია-ლატვია 0:2	1,55	3,8	2,9
23.15	522	ფარერები-შვეიცარია	7,5	4,0	1,35
23.15	523	სლოვენია-ლუქსემბურგი	1,03	8,0	16,0
	524	სლოვენია-ლუქსენბურგი 0:3	1,7	4,0	2,3
23.15	525	ხორვატია-სან მარინო	1,01	10,0	20,0
	526	ხორვატია-სან მარინო 0:3	1,5	4,4	2,8
00..30	527	ესპანეთი-ბოსნია	1,1	7,0	14,0
	528	ესპანეთი-ბოსნია 0:3	1,7	4,0	2,3
02.00	529	პერუ-ეკვადორი	2,2	3,1	3,0
04.00	530	პარაგვაი-ჩილე	1,5	3,4	6,5

3 ივნისი

23.00	531	არგენტინა-კოლუმბია	1,45	3,5	6,0
01.00	532	ბოლივია-ვენესუელა	1,2	5,0	9,0

კონფედერაციათა თასი

1 ივნისი

13.00	533	ავსტრალია-საფრანგეთი	6,0	3,5	1,45
15.30	534	კორეა-მექსიკა	2,4	3,1	2,6

2 ივნისი

13.00	535	კანადა-ბრაზილია	10,0	5,6	1,15
15.30	536	კამერუნი-იაპონია	2,6	3,1	2,4

3 ივნისი

15.30	537	საფრანგეთი-მექსიკა	1,0	1,0	1,0
15.30	538	კორეა-ავსტრალია	1,0	1,0	1,0

4 ივნისი

15.30	539	ბრაზილია-იაპონია	1,0	1,0	1,0
15.30	540	კამერუნი-კანადა	1,0	1,0	1,0

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები (21 წლამდე)

1 ივნისი

14.00	551	სომხეთი-ბელარუსი	3,4	3,1	1,9
19.00	552	უკრაინა-ნორვეგია	2,1	3,0	3,3
20.00	553	სლოვენია-ლუქსემბურგი	1,05	7,0	14,0
20.00	554	ესტონეთი-ჰოლანდია	6,5	4,0	1,35
20.00	555	საბერძნეთი-ალბანეთი	1,1	7,0	14,0
20.15	556	საქართველო-იტალია	ანგარიში	–	5,0
21.00	557	ისლანდია-მალტა	1,3	4,0	7,5
21.00	558	ფინეთი-გერმანია	3,8	3,2	1,8
22.00	559	დანია-ჩეხეთი	2,5	3,0	2,5
22.00	560	შვედეთი-სლოვაკეთი	1,9	3,1	3,4
22.00	561	თურქეთი-აზერბაიჯანი	1,05	7,0	14,0
22.00	562	რუმინეთი-უნგრეთი	1,5	3,5	6,0
23.00	563	ბელგია-ლატვია	1,05	7,0	14,0
23.30	564	ირლანდია-პორტუგალია	2,8	3,1	2,3
23.30	565	ჩრდ.ირლანდია-ბულგარეთი	3,0	2,9	2,2
23.30	566	უელსი-პოლონეთი	3,4	3,1	2,0
00.30	567	ესპანეთი-ბოსნია	1,1	7,0	14,0

კალათბურთი. 1/2 ფინალი

1 ივნისი

06.00	801	მილუოკი-ფილადელფია	1,7	12,0	1,7

3 ივნისი

22.00	802	ფილადელფია-მილუოკი	1,0	1,0	1,0

ჰოკეი. ფინალი

2 ივნისი

05.00	901	ნიუ ჯერსი-კოლორადო	2,0	3,6	2,4

4 ივნისი

05.00	902	კოლორადო-ნიუ ჯერსი	1,0	1,0	1,0

კროკოს ბიუროთა მისამართები:

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში;
№2 ცენტრალური ფოსტამტი აღმაშენებლის გამზირზე;
გლდანი, I სავაჭრო ცენტრი;
ვაჟა ფშაველას 46 (მეტრო დელისთან);
წინამძღვრიშვილის 200 (ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში)
გურამიშვილის გამზირი, 50 (მეტრო „ღრმაღელესთან“)
წერეთლის გამზირი №11;
ჭავჭავაძის გამზირი №41

ქუთაისი — პუშკინის ქუჩა№16 (ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში)
ფალიაშვილის ქუჩა № 27

გორში — სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი; სტალინის ქუჩა№30

თელავში — კოსტავას ქუჩა №23.

რუსთავში — შარტავას ქუჩა №7

ბათუმში — მემედ აბაშიძის (ყოფილი სტალინის) ქუჩა №21;
ერას (ყოფილი გორკის) ქუჩა №61;
ჯავახიშვილის ქუჩა №78;
ჭავჭავაძის ქუჩა №113 (მალე)

ქობულეთში — აღმაშენებლის ქუჩა №106

მარნეულში — რუსთაველის ქუჩა №39

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

დასაწყისი იხ. „სარბიელი“
№70, №75, №80, №85, №90, №95

საფლავები

ტრაგიკულ ამბავთა უცხოური ქრონიკა

ჩვენი სერიალის ბოლო წერილში დაგპირდით, რომ ევერესტზე ყველაზე ძლიერად დატრიალებული სიკვდილის ცელის ამბავს გიამბობდით. სიტყვას არ გადავალთ, თუმცა მანამდე შევჩერდებით იქ მოხდარ ახალ ტრაგედიაზე, რომელმაც სულ ერთი კაცის სიცოცხლე შეიწირა, მაგრამ ის ერთი კაცი დიდად ცნობილი მთამსვლელი იყო.

საუბარია შერპ ბაბუ ჩირი შერპაზე. ეს კაცი ევერესტის თავისებური რეკორდსმენი იყო. ერთხელ მან ჟანგბადის ბალონის გამოუყენებლად მეტეორივით აიქროლა დედამიწის უმაღლეს მწვერვალზე, რასაც 16 საათი და 58 წუთი მოანდომა. ეს შედეგი რეკორდი იყო. შარშანწინ, როცა ქართველები ავიდნენ ევერესტზე, იქ მათ დახვდათ ბაბუ შერპას ქვეშაგები და სხვა ნივთები, რომლებიც დედამიწის კენწეროზე ასევე უჟანგბადოდ, 21-საათიანი ყოფნისა და ღამისთევის მერე დატოვა. ცხადია, ეს დროც მწვერვალზე ხანგრძლივად ყოფნის რეკორდი იყო.

ბაბუ შერპას ევერესტზე ისევ და ისევ უჟანგბადოდ ათჯერ აურბენ-ჩამოურბენია, აქედან ორჯერ ტიბეტის მხრიდან, რაშიც თანამემამულე აპა შერპას მხოლოდ ერთი ასვლით ჩამორჩება.

ალბათ არც ამაში ჩამორჩებოდა ვინმეს, იმ დღეს ტრაგიკული სიკვდილით რომ არ დაესრულებინა სიცოცხლე. მას სიკვდილმა ევერესტის სამხრეთიდან, კხუმბუს ყინვარს ზემოთ, 6350 მეტრის სიმაღლეზე მეორე ბანაკში ასულს უწია. იქამდე საბაზოდან ჩვეულებრივ ორი დღის სავალია და იქაურობა ვეება ყინულის ლოდებითა და ნაპრალებითაა დაფარული. ბაბუ შერპა ბოლოს სწორედ იქ ნახეს, 16 საათზე, როცა სურათების გადასაღებად მარტო წავიდა. რომ აღარ დაბრუნდა, ძებნა დაიწყეს და მის ცხედარს ღამის 12 საათზე 30 მეტრის სიღრმის ნაპრალში მიაგნეს.

აი, ასე ბრმა შემთხვევამ იმსხვერპლა ევერესტის დამპყრობთა შორის ერთ-ერთი ყველაზე სახელგანთქმული მთამსვლელი, მაგრამ ის ტრაგედია, რომელიც აქ 1996 წელს დატრიალდა, დედამიწის უმაღლესი მწვერვალის ისტორიაში ყველაზე რიცხვმრავალი იყო. მაშინ ევერესტზე ასვლას სხვადასხვა ექსპედიციის 87 მთამსვლელი აპირებდა, მათგან ცოტამ მიაღწია მიზანს, მაგრამ ტრაგედია სწორედ გამარჯებულთ დაატყდათ თავს და 11 კაცი დაიღუპა. ისინი ეგრეთწოდებული კომერციული ექსპედიციების წევრები იყვნენ. სამ ჯგუფად დაყოფილნი თავიანთი გამოცდილი მთამსვლელების, ამერიკელი სკოტ ფიშერის, ახალზელანდიელი რობ ჰოლისა და ტაივანელი მინგ ჰუს ხელმძღვანელობით იყვნენ ევერესტზე და მათთან ერთად დაიღუპნენ. მეთაურებს თავიანთი კლიენტების აყვანაში ეხმარებოდნენ ყაზახეთის წარმოშადგენელი, მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი მთამსვლელი ანატოლი ბუკრეევი და ახალზელანდიელი ნილ ბიდლემენიც. ისინი ნაკლებად გამოცდილ მთამსვლელებს ჭყავდათ დაქირავებულნი და თავიანთ კლიენტებს მწვერვალზე ასვლაში უნდა დახმარებოდნენ. თითოეულს საამისოდ საკუთარი ჯიბიდან გადაუხდია 65 000-65 000 დოლარი, რაც დაახლოებით ერთი „რენჯ როვერის“ ან შანელის საღამოს კაბის ფასია.

პირველი ადამიანი, ვისაც აზრად მოუვიდა გამოცდილი მთამსვლელის დაქირავება, რათა მასთან ერთად ასულიყო დედამიწის უმაღლეს მწვერვალზე, იყო ამერიკელი დიკ ბასი — ნავთობის, ქვანახშირისა და საკურორტო ბიზნესის მაგნატი, ამავე დროს გარკვეული გამოცდილებისა და დონის ალპინისტი. მან 1986 წელს გამოსცა წიგნი „შვიდი მწვერვალი“, ავტორი მასში მოგვითხრობდა ყველა კონტინენტის უმაღლეს მწვერვალზე თავისი ასვლების ისტორიებს, რომლებიც დევიდ ბრეშეარსის ხელმძღვანელობითა და მეგზურობით განხორციელდა. ამის მერე ბევრს დევიდ ბრეშეარსისა და დიკ ბასის კვალის გაყოლის სურვილი გაუჩნდა. ამის მერე, 1992 წელს, რობ ჰოლმა დაიწყო კომერციული ექსპედიციების ჩამოყალიბება. მან ამ საქმეში დიდ წარმატებებს მიაღწია. მსგავსი საქმიანობა წარმატებით გააგრძელა დევიდ ბრეშეარსმაც. ამიტომ ბევრმა იფიქრა, რომ ევერესტი უწყინარი და ხელწამოსაკვრავი მწვერვალი გახდაო.

მაშინ, იმ დიდი ტრაგედიისას, ბრეშეარსი თავის მეცხრე ევერესტულ ექსპედიციაში იყო. კარვების ქალაქში 300-მდე კაცი დაბანაკებულიყო. ბრეშეარსმა ხალხით გაჭედილი საბაზო ბანაკი რომ ნახა, თქვა, „ეს არის თავგადასავლების ხანა. ადამიანები ტივებით მიდიან გარსაქვეყნო მოგზაურობაში, ზოგი საჰაერო ბურთებით დაფრინავს, ნაწილი კი ფიქრობს, მოდი, მეც ავალ ევერესტზე“.

ბრეშეარსი იმ თავისი მეცხრე ექსპედიციისას თვალყურს ადევნებდა სკოტ ფიშერისა და რობ ჰოლის ჯგუფების ასვლას.

— იქ, ზემოთ, ძალიან ბევრი ხალხია. მათი ოსტატობის დონეზე წარმოდგენაც კი არ მაქვს და ვერც ვენდობი იმ ხალხს — ამას ისე ამბობდა ბრეშეარსი, თითქოს ავი წინათგრძნობა ჰქონდა. რამდენიმე დღის მერე მან ევერესტის ფერდობებზე, მწვერვალთან ახლოს ნახა ორივე მეგზურის, სკოტ ფიშერისა და რობ ჰოლის გვამები.

— ორივეს ვიცნობდი და ვიცოდი მათი დიდი ოსტატობისა და გამოცდილების ამბავი, მაგრამ ახლა ორივე მკვდარია. ვერც ვიფიქრებდი, თუ ისინი ევერესტზე დაიღუპებოდნენ. მე თუ კვლავ წავალ მთაში, ძალიან მკაცრი ვიქნები იმ მთამსვლელთა შერჩევაში, რომლებსაც ევერესტზე ასვლა სურთ. მხოლოდ იმას ვუმეგზურებ, ვინც ამას თავისი მოშზადების დონით დაიმსახურებს. მე იმდენად დიდ პატივს ვცემ მთას, რომ იქ ვერაფრით წავიყვან კაცს მხოლოდ იმისთვის, რომ მას ჩეკის გამოწერა შეუძლია — უთქვამს დევიდ ბრეშეარსს.

იმ ასვლისას სასწაულებრივად გადარჩენილი მეგზური ნილ ბიდლემენი ისსენებდა: „ტრაგედიის მერე ყველა ეკითხებოდა საკუთარ თავს, მე ხომ არ ვიყავი ამ უბედურების მიზეზიო. მე თუ კვლავ წავალ მთაში, წავალ მხოლოდ ჩემს ნაცად მეგობარ მთამსვლელებთან ერთად. ძალიან სანერვიულოა იმათი მეგზურობა, რომლებიც არ არიან მაღალი დონის მთამსვლელები. მათმა ხელმძღვანელმა უნდა გაითვალისწინოს კლიენტთა ოცნებები, ემოციები და თითოეულ მათგანზეც იზრუნოს...“

1980 წელს დაღუპული ეს ესპანელი ერთ-ერთია მრავალთაგან, ვისთვისაც ევერესტი საფლავის ტოლ იქცა



სკოტ ფიშერი და ლობსანგ ჯანბუ

სკოტ ფიშერის მიერ გადაღებული ფირის ერთ-ერთი ბოლო კადრი ევერესტის ფერდობზე

მაინც, რა მოხდა იმ დიდი ტრაგედიისას?

მაშინ, 9 მაისის საღამოს, ბოლო საიერიშო ბანაკში შეკრებილი სამი ჯგუფის 30 მთამსვლელი, მათ შორის პროფესიონალი მეგზურები და შერპები ფიქრობდნენ იმაზე, თუ გამთენიისას გადამწყვეტ იერიშზე გადასულნი, 12 საათის განმავლობაში მოასწრებდნენ თუ ვერა მწვერვალზე ასვლას და იმავე ბანაკში დაბნელებამდე დაბრუნებას.

გამოცდილნიცა და გამოუცდელნიც მზნედ და გამარჯვების რწმენით იყვნენ შეპყრობილნი. არც მაშინ შემდრკალან, როცა გზად 1980 წელს დაღუპული ესპანეთის ექსპედიციის ერთ-ერთი წევრის ცხედარს გადაეყარნენ.

ასე იყო თუ ისე, შუაღამისას გზას გაუდგნენ. შუადღისას ისინი მწვერვალს მიუახლოვდნენ. იქ ერთ-ერთი პირველნი ავიდნენ ანატოლი ბუკრეევი და ნილ ბიდლემენი, რომლებსაც დიდი მეგობრობა და სასიმაღლო ასვლებში ცხრაწლიანი ერთობლივი წრთობა აკავშირებდათ. ისინი ხანდახან ქალსაც კაცს უწევდნენ მეგზურობას. მეტ-ნაკლებად ... მათ დაეშვა მათ შესახვედრად, რომლებიც მწვერვალზე ასვლისთვის საკუთარ თავს ებრძოდა. მას გზად შემოხვდა თავისი ჯგუფის მეთაური სკოტ ფიშერიც, რომელიც თავს კარგად ვერ გრძნობდა. ეტყობოდა, ამინდიც ფუჭდებოდა, მაგრამ ევერესტს მაინც არ ეპუებოდა. ის იყო ბოლო, ვინც მწვერვალზე ავიდა. ეს მოხდა 3 საათსა და 30 წუთზე.

ჯგუფის ერთ-ერთმა წევრმა შინ მობილურით დარეკა და ოჯახის წევრებს ახარა, მწვერვალზე ყველანი ავედით და თავს კარგად ვგრძნობთო.

მაგრამ ნაადრევი სიხარული გამოდგა, რადგან ასევე ნაადრევი მუსონივით ძლიერად დაუბერა და როცა IV ბანაკს უახლოვდებოდნენ, ქარიშხალიც ამოვარდა. მთამსვლელებს სულ უფრო უჭირდათ დაშვება. ძალიან უჭირდა ევერესტის ორგზისა და სხვა რვაათასიანების დამლაშქრავ მეთაურ სკოტ ფიშერსაც. როცა უკანასკნელი ენერგია ეცლებოდა, მასთან ერთად იყო მისი მეგობარი შერპი მთამსვლელი, 23 წლის ლობსანგ ჯანბუ.

ფიშერი ლობსანგის კერპი იყო და მას აღმერთებდა. შერპმა ფიშერს ერთი წლით ადრე უღრმესი პატივისცემის ნიშნად თავისი საყურეც აჩუქა, თმებიც ამერიკელივით გაიზარდა და უკან ცხენის კუდივით გამოინასკვა, ახლა კი მისი განწირული ღვთაება სთხოვდა, მე აქ დამტოვე და საკუთარი თავი გადარჩინეო. შერპი უარობდა და ფიქრობდა, ფიშერი ჭკუიდან ხომ არ შეშალაო. ამიტომ თავის კერპს არ ტოვებდა, მას კი სიარული აღარ შეეძლო. ბოლოს ფიშერი დაემუქრა, თუ არ დამტოვებ, უფსკრულში გადავხტებიო. ლობსანგსაც რაღა დარჩენოდა. თავადაც ხედავდა, რომ მეგობარს ვერ დაეხმარებოდა და მასთან დარჩენით თავადაც დაიღუპებოდა.

ამასობაში დაღამდა. ოცი ადამიანი, ფერდობის სხვადასხვა მონაკვეთზე, საკუთარი სიცოცხლის გადასარჩენად იბრძოდა, ზოგი კი სხვათა შველასაც ცდილობდა. თერმეტკაციანი ჯგუფი დაახლოებით 40-გრადუსიან ყინვასა და საშინელ ქარიშხალში ვეღარ მოძრაობდა. ჟანგბადიც შემოლეოდათ და რომ არ ჩაძინებოდათ, ერთმანეთს მუჯლუგუნებს ურტყამდნენ და ყვირილით ამხნევებდნენ, ზოგს კი ამის თავიც არ ჰქონდა.

მეორე ძლიერი მთამსვლელი და მეგზური რობ ჰოლი ერთი თავისი კლიენტის დასახმარებლად უფრო ზემოთ დარჩენილიყო, მაგრამ შველა მაინც ვერ შესძლო — იგი მოკვდა და თავადაც სიცოცხლის უკანასკნელ წუთებს ითვლიდა. ჰოლი მობილურით ახალ ზელანდიაში ცოლს დაუკავშირდა და უთხრა, ეი, მისმინე, ჩემზე ძალიან ნუ ინაღვლებო.

ამასობაში ანატოლი ბუკრეევმა, რომელიც ყველაზე უკეთ გრძნობდა თავს, 24 საათში, დღისით თუ ღამით, მეოთხე ბანაკიდან ოთხჯერ შესძლო ზემოთ ასვლა, ხიფათში მყოფთათვის ჟანგბადის ბალონების აზიდვა, ქანცგაწყვეტილთა ზურგზე მოკიდება, ბანაკში ჩამოყვანა და მოსულიერება, მაგრამ ყველას გადარჩენა, ცხადია, ვერ შეძლო. საღღაც ზემოთ კი ამ დროს მისი ძველი მეგობარი სკოტ ფიშერიც ებრძოდა სიკვდილს.

ანატოლი ფიქრობდა: „ვიცი, რომ სკოტი ჩემს იმედზეა. მას სჯერა, რომ ავალ, მოვძებნი და მივეშველები. ვიცი, ამ საშინელ ღამეს გადაიტანს, მაგრამ მას სჭირდება სითბო, ჟანგბადი და რაიმე თბილი სითხე. ყოველი საათი, ყოველი წუთი ძვირფასია“.

ანატოლიმ ფიშერის ჯგუფის ყველა წევრი სიკვდილს ხელიდან გამოსტაცა, მაგრამ ბოლოს თავადაც მეოთხე ბანაკში ღონემიხდილი დავარდა.

იმ დილით სკოტ ფიშერის მისაშველებლად შვიდი შერპი ავიდა. მათ ამერიკელი სულთმობრძავი იპოვეს. რატომღაც მასთან ერთ თოკში ჩაბმული ნახეს მესამე ჯგუფის მეთაური მინგ ჰუ გაო. შერპებმა ამაოდ სცადეს ფიშერის ჟანგბადით სულის მოთქმა, ქვემოთ კი ტაივანელი მეთაური წამოიყვანეს, რადგან მოეჩვენათ, მას გადარჩენის მეტი შანსი აქვსო...

ამასობაში ანატოლი ბუკრეევმა საიდანღაც უკანასკნელი ძალ-ღონე მოიკრიბა და ფიშერის მოსაძებნად მეხუთედ ავიდა ზემოთ. საღამოს 7 საათისთვის მარილაც იპოვა მეგობარი. მას ხელთათმანები აღარ ეკეთა და ქურთუკიც გაეღება. ანატოლიმ გაიფიქრა, სიკვდილის წინ ალბათ სითბო ეგრძნო. სკოტს ლობსანგის ნაჩუქარი ცალი საყური ეკეთა, კისერზე კი ცოლის ნაჩუქარი ავგაროზი, რომელშაც ქმარი სიკვდილს ვერ გადაარჩინა. ანატოლიმ იქვე ნახა სკოტის პატარა ჩანთა, რომელშიც თავისი ეზოს რაღაც ბალახეული, თავისივე ეზოს მიწა და ცოლშვილის ფოტოს კულულები ეწყო.

ანატოლიმ სკოტის ცხედარი გვერდზე გადაიტანა და ევერესტის ფერდობს თოკით მიაბა, სახე კი კაპიუშონით დაუფარა. ეს იყო მაქსიმუმი, რაც მეგობრისთვის გააკეთა, რადგან იმ სიმაღლიდან ცხედრის ჩამოსვენება შეუძლებელია.

ანატოლი ქვემოთ სიბნელეში დაეშვა. იგი გზას მიიკვლევდა ერთ-ერთი მთამსვლელის, ბეკ ვედერსის ყვირილის ხმაზე, რომელიც საშინელი მოყინულობისგან სიმწრით ღრიალებდა.

„მთა ყოველთვის გამარჯვებულია“ — კიდევ ერთხელ დარწმუნდა ანატოლი ბუკრეევი, რომლის გაუგონარმა თავდადებამ იმ ტრაგიკული ლაშქრობისას ბევრი მთამსვლელი გადარჩინა, დაღუპულთათვის კი ევერესტი თავისებურ ობელისკად იქცა.

ავთანდილ გურასაშვილი

(გაგრძელება იქნება)

დრონი

ათი წლისაა

მკვიდრობდა ერთ და საკმაოდ დიდ ხანს ცნება „საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი“. მეტი წილი გაზეთებისა სწორედ ასე მოიხსენიებოდა.

მერე დროება მიწასავით იძრა და ბევრი რამ ჩამოშალა. მათ შორის გაზეთებიც. ამათგან ერთი კი უფრო განმტკიცდა. ეს იმიტომ, რომ მართლა საზოგადოებრივი და მართლა პოლიტიკური იყო — მნიშვნელოვანი და დამუხტული.

„დრონი“ არ იყო ბოლო ათწლეულის მოვლენების მხოლოდ აღმწერელი, ის ქმნიდა კიდეც ამ, გარდამტეხ მოვლენებს — ძალიან უბრალოდ და ალალად შეუძლია თქვას ყველამ, ვისაც კარგად ახსოვს, რა როგორ იყო. წლებისა და მკითხველის სიმრავლეს ვუსურვებთ დღეს უკვე ათი წლის „დრონს“.

გრეგუარმა მოიგო და კარდიფს დაეკლდა

მომავალ უქმეებზე უელსის დედაქალაქი კარდიფი მსოფლიოს სერიის მორიგ ტურნირში მოშვიდკაცებს უმასპინძლებს. კარდიფში საქართველოს ნაკრებიც ჩავა, რომელიც გასულ შაბათ-კვირას ლონდონში გამოვიდა და 16 გუნდში მე-13 ადგილი დაიკავა. უელსში ჩვენებურების ფრანგი მწვრთნელი კლოდ სორელი გრეგუარ იაშვილის წაყვანასაც აპირებდა, მაგრამ ბორჯღალოსნებს ამჯერადაც თავიანთი ფრანგი-ქართველის გარეშე მოუწევთ ბრძოლა.

თუ რატომ, ამას ამ მოკლე საუბრიდან გაიგებთ, რომელიც ჩვენსა და გრეგუარს შორის გაიმართა წუხელ ტელეფონით.

— გრეგუარ, საფრანგეთის ჩემპიონატი დასასრულს მიუახლოვდა, თქვენი გუნდი „ლა ტესტი“ ნასიონალის (მესამე დივიზიონი) მერვედფინალში იყო გასული...

— მერვედფინალური მატჩი კვირას გავმართეთ. საკმაოდ კარგად ვითამაშეთ, „ანგულემი“ იოლად დავჯაბნეთ და 37:12 მოვუგეთ. ახლა კვირას მეოთხედფინალში „ლემოჟს“ ვხვდებით, რომელშიც ერთი ქართველიც თამაშობს. აჩიკო ქავთარაშვილი იქაურთა გარემარბია და თითქმის ყველა მატჩს ძირითად შემადგენლობაში თამაშობს. იმედია, ჩვენს წინააღმდეგაც გამოვა.

— თუ ახლაც იმარჯვეთ და დარჩენილი ორი მატჩიც მოიგეთ, ელიტ 2-ში გადახვალთ?

— სამწუხაროდ არა. წლეულს საფრანგეთის რაგბის ფედერაციამ ჩემპიონატის რეორგანიზაცია ჩაატარა და ელიტებში გუნდების რაოდენობა შეამცირა. ამიტომაც დაბალი დივიზიონებიდან ვერავინ აღზევდება. ასე რომ, თუ ფინალში გავედით და იქაც მოვიგეთ, მხოლოდ ნასიონალის ჩემპიონის ტიტულს დავჯერდებით.

— კარდიფის შვიდკაცაზე ხომ არ მიდიხარ?

— „ანგულემთან“ რომ წაგვეგო, წავიდოდი, მაგრამ ახლა გუნდი არ მიშვებს, რადგან კიდევ დავჯრჩა თამაშები.

— სხვა, უფრო ძლიერ კლუბში ხომ არ გადახვალ მომავალი სეზონიდან?

— შესაძლებელია. ჯერჯერობით რეალური წინადადებები არ მაქვს, მაგრამ თუ ნასიონალის ჩემპიონატი მოვიგეთ, დარწმუნებული ვარ, საკმაოდ ბევრი კლუბი შემომთავაზებს თავისთან გადასვლას, რადგან საფრანგეთში მუდმივად ასე ხდება: საჩემპიონო შემადგენლობას უმალ იტაცებენ.

გაგი გურული

ჯიროდ'იტალია

ერთი წამი გავარდისფერებამდე

REUTERS მონტეველუნადან

გუშინდელი ეტაპი
მატეო ტოსატომ მოიგო

„ჯიროს“ მეთორმეტე ეტაპი წესით და რიგით მშვიდად უნდა ჩამთავრებულიყო, რადგან მხოლოდ 139 კილომეტრი იყო და თან ერთ პატარა დაბრკოლებას შეიცავდა. თუმცა ამინდმა და იმ გარემოებამ, რომ დღის ერთადერთი აღმართი ფინიშთან ძალიან ახლოს იყო, მაინც ძლიერ იმოქმედა და ლამის საერთო ჩათვლის ლიდერიც შეიცვალა.

საწყისი საათი პელოტონმა მეტად ნელა (32 კმ/სთ საშუალო სიჩქარე) გაიარა და შეტევებიც არ ყოფილა. რბოლა მხოლოდ საშუალედო ფინიშის მოახლოებისას გამოცოცხლდა, რომელიც მასიმო სტრაჟერმა მოიგო. სწორედ ამ დროს დააწვიმა პელოტონს.

დასველებული მრბოლები აღმართს რომ მიუახლოვდნენ, ტოსატომ და კლემენჩიჩმაც შეუტიეს. მათ დიდი ყურადღება არავინ მიაქცია. ამით ისარგებლა ჯილბერტო სიმონიმ და ლტოლვილებს შეუერთდა. სამეულმა ფინიშს სხვებზე ადრე უწია. პრემიალური წამების და ამ პატარა უპირატესობის ხარჯზე კი სიმონიმ დარიო ფრიგოსთან ჩამორჩენა მინიმუმამდე დაიყვანა და დღეს მთებში ვარდისფერი მაისურის მოპოვებასაც ეცდება.

გაგი გურული

მეთორმეტე ეტაპი
გრადისკა დისონტო — მონტებელუნა
139 კმ

1. **მატეო ტოსატო (იტალია, ფასა ბორტოლო) 3სთ 33წთ 17წმ**
2. **ზორან კლემენჩიჩი (სლოვენია, ტაკონი სპორტი)**
3. **ჯილბერტო სიმონი (იტალია, ლამპრე) ორივეს იგივე დრო**
4. **მასიმო შტრაცერი (იტალია, მობილვეტა) +10წმ**
5. **მარკო ძანეტი (იტალია, ლიკიგასი) იგივე დრო**

საერთო ჩათვლა

1. **დარიო ფრიგო (იტალია, ფასა ბორტოლო) 5სთ 58წთ 34წმ**
2. **ჯილბერტო სიმონი (იტალია, ლამპრე) +1წმ**
3. **ფოზე აზევედო (ესპანეთი, ონსე) +3წმ**
4. **აბრაამ ოლანო (ესპანეთი, ონსე) +14წმ**
5. **ვლადიმირ ბელი (იტალია, ფასა ბორტოლო) +19წმ**

ჯანსაღი გარემოსთვის მოკვეთილი

იტალიელი სერჯო ბარბერო გუშინ „ჯიროს“ გამოაკლდა. არადა, მას არც ტრავმა მიუღია და არც დოპინგი. უფრო სწორად, იტალიაში არ მიუღია აკრძალული ნივთიერებები. „ჯიროს“ დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე გამართულ „რომანდიის ტურში“ კი ბარბეროს ორგანიზმში ეპო-ს კვალი აღმოუჩინეს.

შეგახსენებთ, რომ ერითროპოიეტინი (ეპო) სისხლში წითელი ბურთულების შემცველობას ზრდის, რაც ჟანგბადის გადატანას აუმჯობესებს და აღამიანი გაცილებით მეტ დატვირთვას უძლებს, ვიდრე ჩვეულებისამებრ. თუმცა ეპო-ს გამოყენების დადებითი შედეგები ერთობ ხანმოკლეა. გრძელვადიან პერიოდში კი იგი ჯანმრთელობისთვის მეტად საზიანოა. კარგა ხნის მანძილზე ეპო-ს სხეულში აღმოჩენა შეუძლებელი იყო, ახლახან კი ფრანგებმა მოახერხეს მისი შარდში პოვნა და აპრილიდან მათი მეთოდი ველოსპორტის საერთაშორისო კავშირმა და კიდევ რამდენიმე დიდმა ფედერაციამ დანერგა.

იქიდან მოყოლებული პირველები დანიელი ბო ჰამბურგერი (ონლაინი) და შვეიცარიელი როლანდ მეიერი (კოასტი) ჩაცვივდნენ. მათ ეპო-ს მიღება „ვალონიის ისარზე“ (ერთდღიანი რბოლაა) დაუდგინდათ.

ბარბერო კი კიდევ ერთ მრბოლთან ერთად შვეიცარიაში ჩავარდა. „რომანდიის ტურის“ ორგანიზატორებმა იტალიელთან ერთად ვიღაც ფრანგიც გამოიჭირეს, რომლის ვინაობაც ჯერ არ გაუმხელიათ და რომელიც არაფრანგულ გუნდში ირიცხება. ფრანგი ჟურნალისტების აზრით, ის 24 წლის ლორან შოტარი უნდა იყოს ამერიკული „მერკურიდან“.

32 წლის ბარბერო 1992 წლიდანაა პროფესიონალი. იგი ჯილბერტო სიმონის გრეგარია, ამიტომ „ლამპრეს“ ლიდერს მის გარეშე მთებში გაუჭირდება. თუმც სავსებით შესაძლებელი იყო, ბარბერო „ჯიროს“ არც გამოჰკლებოდა, რადგან მან განმეორებითი დოპინგ-კონტროლი მოითხოვა და მის შედეგებამდე უდანაშაულობის პრეზუმაციით სარგებლობს, მაგრამ „ლამპრეს“ გენერალურმა მენჯერმა სხვაგვარად განსაჯა.

„ჩვენ მას ვთხოვეთ, დღეს სტარტზე აღარ გამოსულიყო. წესით, ბარბეროს ტურნირის გაგრძელება შეეძლო, მაგრამ გუნდში ჯანსაღი გარემოს შენარჩუნებისთვის ასე ავჯობებს“ — განაცხადა ჯუზეპე სარონიმ.

გაგი გურული

ჯრიჯვალოსანი



ბრაიან ნილსენი

რამდენჯერმე ვთქვით, რომ ცნობილმა პრომოუტერმა დონ კინგმა მსოფლიოს ახალ უდავო ჩემპიონს, ჰასიმ რაჰმანს, ტიტულის პირველი დაცვა 4 აგვისტოს, ჩინეთის დედაქალაქში, პეკინში დაუნიშნა და მეტოქედ ბრაიან „სუპერ“ ნილსენი შეურჩია. მაგრამ ვინ არის ეს ბრაიან ნილსენი?

კრივის მოყვარულთა უმეტესობისთვის ბრაიან ნილსენი არის სპორტსმენი, რომელსაც მშობლიურ დანიაში მეორეხარისხოვან მეტოქეთა ცემით აქვს სახელი დაგდებული. მის მიერ ნაგვემ მეორეხარისხოვანთა სია კი ძალიან გრძელია, ნილსენს ზედიზედ 50 გამარჯვება ულამაზებს პროფესიულ კარიერას, თუმცა ახლა, რაჰმანთან, აშკარად გამოცდა ელის.

დღეს, 36 წლის დანიელის გარშემო უფრო მეტი კითხვა ისმის, ვიდრე პასუხი. იგი 1992 წლის ბარსელონის ოლიმპიადის ბრინჯაოსმედალოსანია და მას მერე, პროფესიულ რინგზე 62 ბრძოლა აქვს გამართული.

უფრო დაწვრილებით ასეა: ბრაიან ნილსენი ქვეყნიერებას 1965 წლის 1 აპრილს, ქალაქ კორსოერში მოევლინა და 1987-92 წლებში, როგორც მოყვარულმა, 104 ბრძოლში გაიმარჯვა. 7-ჯერ კი მოწინააღმდეგემ აჯობა. 1988-92 წლებში იგი მძიმე წონაში დანიის ჩემპიონი გახლდათ, 1990 და 1992 წლებში ევრეთწოდებული ჩრდილოეთის ჩემპიონი, ხოლო 1991 წელს ევროპის ბრინჯაოს მედალოსანი. იმავე წელიწადს, სიდნეიში, მსოფლიოს ჩემპიონატზე, ნილსენი პირველსავე ეტაპზე დამარცხდა. მას პოლონელმა ჰენრიკ ზატიკამ აჯობა.

ზემოთ ბარსელონის ოლიმპიადა ვახსენეთ, სადაც ნილსენმა მესამე ეტაპზე კუბელ რობერტ ბალადოსგან იწვნია მარცხი. მანამდე კორეელ იუნგ სეუნგ ვონგსა და პეტერ ჰრივნიკს აჯობა.

1992 წლის 4 სექტემბერს, 191 სანტიმეტრიანმა მძიმეწონოსანმა პროფესიულ კონტრაქტს მოაწერა ხელი. ეს კოპენჰაგენში მოხდა. მისი პირველი მეტოქე გახლდათ ტერი არმსტრონგი, რომელსაც ექვს რაუნდში მოუთავა საქმე.

პროფესიული კარიერის 8 წლისა და 9 თვის თავზე ბრაიან ნილსენს შთამბეჭდავი შედეგი აქვს: 61 გამარჯვება (43 ნოკაუტით) და 1 მარცხი.

საინტერესოა, რომ 2000 წლის 18 ივნისს ბრაიან ნილსენი ზედიზედ ორმოცდამეათე გამარჯვებისთვის ემზადებოდა. მისი მეტოქე გახლდათ დიკ რაიანი, რომელსაც დანიელისთვის იოლ მეტოქედ მიიჩნევდნენ. მართლაც, იმ ბრძოლის შეფასებებს რომ ჩავხედოთ, ამოვიკითხავთ, რომ ნილსენი რაიანს მერვე რაუნდამდე უპრობლემოდ სჯაბნიდა, მერვეში კი აქეთ-იქით გორაობა დაიწყო. 2 ათას გულშემატკივარს ეგონა, რომ ხუმრობდა, ასე ეგონა რეფერისაც და ბრძოლა დაუყონებლივ არ შეაჩერა, მაგრამ მეათე რაუნდში ამის გაკეთება მაინც მოუხდა — ნილსენი ბოგირებთან გაიშოტა. ასე ჩაიშალა ლეგენდარული როკი მარჩიანოს რეკორდის, ზედიზედ 49 გამარჯვების, გაუმჯობესების მცდელობა.

IBF-მა მაისის რეიტინგი გამოაქვეყნა და გაირკვა, რომ მისი ვერსიით, 17 დივიზიონში არსებული 34 პირველი და მეორე ადგილებიდან 23 ვაკანტურია. ამასთან, ამბობენ, რომ IBF აპირებს მუჰამედ ალის რეკომენდაციების გათვალსწინებას და უმაღლესი ადგილების პატრონების ვინაობის გასარკვევად რეიტინგის მიხედვით 10 უძლიერესს ერთმანეთთან ბრძოლას უმზადებს. ერთი სიტყვით, შესაძლოა კრივში ნამდვილი სპორტული პრინციპი ვიხილოთ.

ახლა კი ორიოდ სიტყვით თავად რეიტინგის შესახებ: მძიმე წონაში მეორე ადგილზეა კრის ბერდი. ასე იმიტომ მოხდა, რომ ბერდმა მაისში მორის ჰარისი სცემა. მეცხრედან მეექვსეზე აინაცვლა კირკ ჯონსონმა, ხოლო ლენოქს ლუისი, თურმე ნუ იტყვით და ბერდის ყოფილ ადგილას, მეხუთე პოზიციაზე ჩავარდნილა.

პირველი ნომერი კი დავიდ ტუა გახლავთ, მესამე ვლადიმირ კლიჩკო, ხოლო მეოთხე ლარი დონალდი.

ასეა თუ ისე, თანამედროვე საკრივო სამყარო მაინც ტაისონ — ლუისზე ლაპარაკობს. ამაზე ლაპარაკობენ ყველაზე გავლენიანი და კონკურენტი ტელეკომპანიებიც, „შოუთაიმი“ და HBO. როგორც ჩანს, მსოფლიოს ახალი ჩემპიონის ჰასიმ რაჰმანის დონ კინგის ბანაკში გადაბარგებამ და როგორც ერთი ასევე მეორე ტელეკომპანიისგან დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარებამ ისინი, დროებით მაინც შეარიგა.

შეგახსენებთ, რომ ტაისონი „შოუთაიმის“ კაცია, ხოლო ლუისი HBO-სი. კომპანიები ერთმანეთთან შეხვედრის პირობებზე ვერ თანხმდებოდნენ, მაგრამ მას მერე, რაც დონ კინგმა ტიტულებისთვის ბრძოლის სადაველი ხელთ იგდო, ტელეკომპანიებს საერთო ინტერესი გაუჩნდათ.

სიახლე კი ის გახლავთ, რომ 11 ივნისს, ნიუ იორკში, მოსამართლე მაირიამ სიდერბაუმი განიხილავს საქმეს, რომელმაც დონ კინგის წამოწყებას, 4 აგვისტოს, ჩინეთში ჰასიმ რაჰმანისა და დანიელი ბრაიან ნილსენის ბრძოლას, შეიძლება სერიოზული დაბრკოლება შეუქმნას. მოგეხსენებათ, 5 აგვისტოს დონ კინგი ჯონ რუისისა და ევანდერ ჰოლიფილდის მესამე ბრძოლის მოწყობასაც აპირებს.

სედრიკ კუშნერი, რაჰმანის ყოფილი პრომოუტერი, რომელმაც მას მსოფლიოს ჩემპიონობა მოაპოვებინა, აცხადებს, რომ დონ კინგმა კლიენტი კანონების დარღვევით წაართვა, ხოლო ლენოქს ლუისი ამტკიცებს, რომ რაჰმანი უპირველეს ყოვლისა ვალდებულია მასთან რემატჩი გამართოს, ხოლო ნილსენს თუ ვინმე სხვას, შეუძლია მერე შეხვდეს.

ხმა ამოიღო მაიკ ტაისონმაც. როგორც ჩანს, მისი ბანაკის ზეწოლით, WBA-მ რაჰმან — ლუისის ჩხუბის ნებართვაზე განაცხადა უარი — ნომერ პირველი პრეტენდენტი ტაისონია და ჩემპიონმა კეთილი ინებოს, მას ეჩხუბოსო. ერთი სიტყვით წყალი აიმღვრა და იქ მღვრიე წყალში, შეიძლება ტაისონ — ლუისი ყველაზე იოლად დაიჭირონ.

დევიდ აიზონი, რომელიც 2 ივნისს მაიკ ტაისონს უნდა შეხვედროდა, დონ კინგის კლიენტი გახდა. აიზონი ნიგერიელია, ლაგოსში დაბადებული, კარიერაში გამართული 30 ბრძოლიდან 27 მოგებული აქვს (23 ნოკაუტით), ხოლო სამჯერ მარცხი უწვნევია.

„ბედნიერი ვარ ისეთ მძიმეწონოსანთან კონტრაქტით, რომელიც თვით მაიკ ტაისონის მეტოქედ ითვლება“ — განაცხადა დონ კინგმა — „ჩემთან თანამშრომლობა მასაც გამოადგება. მის ოცნებებს რეალობად ვაქცევ“.

ტუტა სიხარულიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარტინას დედიკო მოუნდა

ერთ-ერთი პირველი საჩოგბურთო მატჩი, რომელიც ენდი როდიკმა ცხოვრებაში იხილა, 1989 წლის როლან გაროსზე მაიკლ ჩანგისა და ივან ლენდლის ლეგენდარული ორთაბრძოლა იყო. იმ თითქმის ხუთსაათიან მატჩში კრუნჩხვებით დატანჯულმა ჩანგმა ერთი-ორჯერ ჩამოშვებული ხელითაც მოაწოდა, მაშინდელი მსოფლიოს პირველი ჩოგანი დაამარცხა და რამდენიმე დღეში საფრანგეთის ღია პირველობის უმრწმესი ჩემპიონი გახდა (17 წელი და 3 თვე).

„სწორედ იმ მატჩმა დამაინტერესა ჩოგბურთით, მახსოვს, ტელევიზორი რომ გამორთეს, კორტზე წაყვანა ვითხოვე და სამი საათი ვივარჯიშე განუწყვეტლივ" — იხსენებს ჩოგბურთის ამომავალი ვარსკვლავი როდიკი, რომელიც მაშინ მხოლოდ 6 წლის იყო.

ოთ შაბათ საღამოს როდიკი სწორედ იმ, როლან გაროსის ცენტრალურ კორტზე თამაშობდა, მარათონული შეხვედრის ბოლოს კრუნჩხვადარეული ტკივილისგან იმანჭებოდა და ჩოგანს ხშირად ყავარჯენივით ხმარობდა, მისი მეტოქე კი მაიკლ ჩანგი გახლდათ. „ღმერთი თავის ნებას ზოგჯერ უცნაურად გამოხატავს. გარემოებები მართლაც ძალიან მსგავსი იყო, 12 წლის წინანდელი მატჩი ზშირად მახსენდებოდა, მაგრამ ამაზე ფიქრს თავიდან ვიშორებდი, არ მინდოდა, ყურადღება გამფანტვოდა" — აღნიშნა შეხვედრის შემდეგ ღრმად მორწმუნე აზიური წარმოშობის ამერიკელმა.

როლან გაროსის ვეტერანისა და ახალბედას მატჩი წლევანდელ ტურნირზე საუკეთესო გამოდგა. როდიკის ტყვიასავით მოწოდება-ფორჰენდებს ჩანგმა საოცარი სიზუსტე და გამოცდილება დაუპირისპირა და ახალგაზრდა კოლეგას თავი არ დააჩაგვრინა.

თამაშის დაწყებიდან უკვე სამ საათზე მეტი გასულიყო, როდესაც გადამწყვეტი სეტის შუაში მანამდე ზედიზედ ორი ტურნირისა და 11 მატჩის მომგებ როდიკს ერთბაშად ხელი, ზურგი და ტერფები წამოტკივდა: „კიდურები თითქმის აღარ მემორჩილებოდნენ, ხელი კონვულსიურად მოძრაობდა, მაგრამ დანებებაზე წამითაც არ მიფიქრია. ამდენი ხანი იმისთვის არ ვითამაშე, რომ ზედ ფინიშის ხაზთან ყველაფერი წყალში გადამეყარა. კორტზე მანამდე დავრჩებოდი, სანამ საკაცით გასატანი არ გავხდებოდი".

მართლაც, როდიკმა საკუთარი თავი ხმამაღალი ღრიალითა და შეშლილი გამომეტყველების მიღებით გაამხნევა, ერთ მომენტში თეატრალურად გვერდით მსაჯს დაეყრდნო და მაყურებლების უმეტესობაც საბოლოოდ მოხიბლა. 37 ეისის წყალობით (რაც როლან გაროსის არაოფიციალური რეკორდია) 18 წლის იანკიმ საკუთარი მოწოდება მატჩის ბოლოს ერთხელაც არ დათმო, რისკიანი დარტყმებით ჩანგს ბრეიკი გამოგლიჯა და სამი საათისა და 50 წუთის თავზე ტურნირის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე დრამატული შეხვედრა მოიგო 5:7, 6:3, 6:4, 6:7 (5:7), 7:5.



REUTERS პარი ზიდან

მარტინა ჰინგისს ისევ დედა წვრთნის

მაყურებლებმა გამაყრუებლად იღრიალეს, როდიკმა კი ქუდი ტრიბუნებზე მოისროლა და მოგვიანებით მაისურა შემოიხია: „შვება, სიხარული, ვერც კი აღვიწერთ, იმ მომენტში რას ვგრძნობდი. მინდოდა, მეტირა, თან მეყვირა კიდეც".

ბადესთან ხელის ჩამორთმევის დროს ჩანგმა როდიკს ურჩია, რაც შეიძლება მეტი მინერალები მიიღო. მასზე უკეთ თანამემამულის გასაჭირი, ალბათ, ცოტას თუ გაეგებოდა.

პირველ წრეში ბეწვზე გადარჩენილ პიტ სამპრასს ბედისწერამ ორი დღით გვიან უწია. ესპანელმა გალო ბლანკომ უიმბლდონის შვიდგზის ჩემპიონი ზუსტი შემოვლებულებით გააწამა, უკანა ხაზიდან თამაშში სრულებით დაჩაგრა და იოლად, 7:6 (7:4), 6:3, 6:2 დაამარცხა.

„მე ჯერ კიდევ მაქვს დრო, ადრეა იმაზე ფიქრი, რომ ყველაფერი დასრულდა. შევეცდები, ამ მარცხიდან ჭკუა ვისწავლო და გაისად კიდევ ვცადო ბედი" — გული არ გაიტეხა ამერიკელმა.

ყველა დროის საუკეთესო ჩოგბურთელის სტატუსის დასაბეგებლად „პისტოლ პიტს" მხოლოდ როლან გაროსის ტიტული აკლია და პარიზში ყოველი მარცხი ორმაგად უკლავს გულს. 1996-ში ნახევარფინალში გაღწევის შემდეგ, ბოლო ოთხი წელია, მას ტურნირზე ზედიზედ ორი მატჩიც არ მოუგია, ასე რომ, მის ოპტიმიზმს ცოტა თუ იზიარებს და ამერიკელის წარმატებას გამორიცხულად მიიჩნევს.

პრესკონფერენციის ბოლოს თავად პიტიც იძულებული იყო, ეღიარებინა, რომ ოცნების განსახორციელებლად დრო და შანსი თითქმის აღარ დარჩა: „კარიერის მანძილზე ყველაფერი ვიღონე, რათა აქ გამემარჯვა, სხვადასხვა გრაფიკები გამოვცადე, ხან ძალიან ბევრს ვემზადებოდი თიხნარზე, ხან — თითქმის არ ვთამაშობდი, მაგრამ არაფერმა მიშველა. წლიდან წლამდე ჩემი ამოცანა სულ უფრო ძნელდება, მაგრამ მის გასაღებას ჯერაც ვერ მივაგენი".

ორი თვის წინ მელანი მოლიტორმა მარტინა ჰინგისის მწვთნელობას თავი დაანება და ქალიშვილს სრული თავისუფლება მიანიჭა გადაწყვეტილებათა მიღებაში. შეიძლება, ბევრი 20 წლის გოგოსთვის მშობლის მეურვეობიდან თავის დაღწევა სასიხარულოც კი იყოს, მაგრამ მსოფლიოს პირველი ჩოგანი აშკარად სხვაგვარად ფიქრობს — ორიოდ კვირის წინ, რომში ამელი მორესმოსთან წაგების შემდეგ მარტინა დედასთან გაემგზავრა ციურიხში და შვილა სთხოვა.

„ზოგჯერ ყველაფერზე თავად ფიქრი სასიამოვნო სულაც არ არის. ამჟამად ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ დედა ისევ ჩემს გვერდითაა. ის საუკეთესო მწვრთნელია, ვინც კი შეიძლება მყავდეს და დარწმუნებული ვარ, მისი დახმარებით უფრო მეტს შევძლებ, ვიდრე მარტო" — არ დაუმალავს მარტინას, რომელსაც მოლიტორთან დაშორების შემდეგ სამი თვეა, ტურნირი არ მოუგია.

დედის ხელი როლან გაროსზე ჰინგისს აშკარად დაეტყო — პარიზში ჩატარებულ ორ მატჩში მან ერთად აღებული ორი გეიმი წააგო. მეორე წრეში მარტინას მსხვერპლი კოლუმბიელი კატალინა კასტანო გახდა 6:1, 6:0.

ავთანდილ სგანიძე

მეორე წრე

ვაჟები: სებასტიან გროზანი (12, საფრანგეთი) — იან ფროდე ანდერსენი (ნორვეგია) 6:2, 6:2, 6:2; ანდრე აგასი (3, აშშ) — ჟულიან ბუტე (საფრანგეთი) 6:3, 6:2, 6:2; ალბერტ პორეტა (13, ესპანეთი) — იენს კნიშილდი (გერმანია) 6:3, 7:5, 6:3; ნიკოლა კუტლო (საფრანგეთი) — მარსელო რიოსი (ჩილე) 6:3, 6:4, 6:4; ფრანკო სქილარი (16, არგენტინა) — ანდრეას ვინსიგერა (შვეიცარია) 2:6, 6:3, 6:3, 6:4; ანტონი დიუშენი (საფრანგეთი) — ტომი ჰაასი (გერმანია) 6:4, 6:0, 6:3; მაგნუს ლარსონი (შვედეთი) — ჰიშამ არაზი (მაროკო) 6:4, 3:6, 2:6, 6:3, 6:4; უვინ არტიერსი (ავსტრალია) — ხუან ბალესტეროსი (ესპანეთი) 7:6 (7:4), 6:4, 6:4; მარატ საფინი (2, რუსეთი) — ალექს კალატრავა (ესპანეთი) 6:3, 3:6, 6:3, 6:7 (4:7), 6:3; დავიდ სანჩესი (ესპანეთი) — კარლოს მოია (ესპანეთი) 1:6, 6:1, 7:6 (9:7), 6:7 (5:7), 6:2; ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) — გრეგ რუზედეკი (დიდი ბრიტანეთი) 6:1, 6:7 (4:7), 6:3, 7:5; როჯერ ფედერერი (შვეიცარია) — სარგის სარგსიანი (სომხეთი) 4:6, 3:6, 6:2, 6:4, 9:7.

ქალები: სერენა უილიამსი (6, აშშ) — კატარინა სრებოტნიკი (სლოვენია) 6:0, 7:5; ჯენიფერ კაპარიატი (4, აშშ) — ტატიანა გარბინი (იტალია) 6:2, 6:1; სანდრინ ტესტიუ (17, საფრანგეთი) — ტატიანა პუჩეკი (ბელარუსი) 6:4, 6:0; მირიანა ლუჩიჩი (ხორვატია) — ევა ბესი (ინგლისი) 6:1, 6:3; ამანდა კუტცერი (10, სამხრეთ აფრიკა) — ვირჯინია რუანო პასკუალი (ესპანეთი) 6:4, 7:5; მეგან შონესი (16, აშშ) — მეილენ ტუ (აშშ) 3:6, 6:1, 6:1; კონჩიტა მარტინესი (8, ესპანეთი) — დანიელა ჰანტუჩოვა (სლოვაკეთი) 7:6 (7:4), 6:4, 6:1; ნადია პეტროვა (რუსეთი) — მაუი სერნა (ესპანეთი) 6:2, 6:2; ედი შრიზერი (აშშ) — არაჩნა სანჩეს-ვიკარიო (11, ესპანეთი) 1:6, 6:3, 6:4.

REUTERS პარი ზიდან

მაიკლ ჩანგმა ეს-ესაა, ენდი როდიკთან (მარჯვნივ) წააგო

ტაი-ბრეიკი

ლაზარეთი გაივსო



სერხი ბრუგერა გრიპმა მოიცელა

როლან გაროსზე წლეულს კიდევ ერთი, ოღონდ მეტად უსიამოვნო რეკორდი შეიძლება დამყარდეს — ტრავმების რაოდენობის. მეორე წრე ჯერაც არ დასრულებულიყო, რომ კაცებში უკვე ხუთ ჩოგბურთელს მოუხდა სხვადასხვა მიზეზით თამაშის გაგრძელებაზე უარის თქმა.

პირველ წრეში ზურგის ტკივილის გამო აბარგებული კრისტიან რუუდსა და მიხალ კრატოხვილს ოთხშაბათს გრიპით შეჭირვებული ორგზის ჩემპიონი სერხი ბრუგერა, ცერმოტეხილი დანიელი კრისტიან პლესი და მზარდაშავებული ებრაელი ჰარელ ლევი შეუერთდნენ.

გიჟი სტადიონზე

საფრანგეთის ღია პირველობაზე უსაფრთხოების საკითხი მთლად მოგვარებული აშკარად არ უნდა იყოს, ყოველ შემთხვევაში, სამშაბათს ფილიპ შატრიეს სახელობის ცენტრალურ კორტზე მომხდარი ინციდენტი სწორედ ამაზე მიუთითებს.

მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა მარტინა ჰინგისმა ის-ის იყო გალა ლეონ გარსიას 6:1, 6:0 ავჯობა და პარიზელ ქომაგებს გამოსამშვიდობებლად ჩოგბურთის ბურთი გადაუგდო ტრიბუნაზე, რომ კორტზე მავნი მაყურებელი შევარდა სირბილით. საყოველთაო ტაშსა და მხიარულებაში ჩოგნითა და ბურთით შეიარაღებული უცნობი უკანა ხაზთან დადგა და მთელი სერიოზულობით მოაწოდა.

მოწოდება პირველ კვადრატს ასცდა, ამასობაში კი როლან გაროსის ყეყეჩი უსაფრთხოების დამცველებიც მოეგნენ გონს და თვითნასწავლი ვარსკვლავი კორტიდან მიაბრძანეს. ამჯერად სერიოზული არაფერი მომხდარა, მაგრამ ტურნირის ორგანიზატორები მაინც იძიებენ, როგორ მოახერხა ქომაგმა კორტზე მოხვედრა.

გუშინ გაზეთმა „ეკიპმ" დამნაშავე ამოიცნო: ეს ტელეარხ MG-ზე გადაცემის, „ღილით პირდაპირ ეთერში" წამყვანი კრისტოფ დიუბონეი აღმოჩნდა. „მინდოდა, კორტზე მაშინ გადავმხტარიყავი, როდესაც მატჩი მიდიოდა, სატელევიზიო კამერების წინ, მაგრამ უსაფრთხოების ზომების გამო ეს არ გამომივიდა" — დანანებით აღნიშნა ექსცენტრულმა წამყვანმა.

არა მგონია, ჰინგისს დიდად გახარებოდა შეხვედრის დროს თავის სიახლოვეს დიუბონეის დანახვა — მას შემდეგ, რაც სულ ორიოდ თვის წინ თავისი შერკილი ფანატის, დუბრავკო რაიჩევიჩის სასამართლო პროცესზე ჩვენება მისცა, შვეიცარიელს მორიგ უსიამოვნებაში გახვევა აშკარად არ სურს.

ფემინიზმი არაბულად

ტუნისელი სელიმა სფარი როლან გაროსის მეორე წრეში ესპანელ მარტა მარეროსთან დამარცხდა. სხვა ჩოგბურთელისთვის იქნებ ეს დიდი ვერაფერი მიღწევა იყოს, მაგრამ 23 წლის სფარმა უკვე გაინაღდა ადგილი ისტორიაში — ის პირველი არაბი ქალი მოთამაშე გახდა, ვინც დიდი სლემის ტურნირზე მატჩის მოგება მოახერხა.

„მე მინდა მსოფლიოს ვუჩვენო, თუ რა შეუძლიათ არაბ ქალებს. ისინი გაცილებით მეტ პატივისცემას იმსახურებენ" — განუცხადა სიდი ბოვ საიდში დაბადებულმა ჩოგბურთელმა გაზეთ „ეკიპს". სფარი უკვე რამდენიმე წელია, საფრანგეთში ცხოვრობს და მწვრთნელ ანრი დიუმონის გარდა უიმბლდონის ფინალისტ ნატალი ტოზიას ზედამხედველობითაც ვარჯიშობს.

შარშან აშშ-ის ღია პირველობაზე ტუნისელი პირველი არაბი დიაცი შეიქნა, ვინც დიდი სლემის ტურნირზე იასპარეზა, თებერვალში დუბაიში მეოთხედფინალში გაღწევით კიდევ ერთი კატეგორიით დამკვიდრდა ისტორიაში, ორშაბათს კი ჩეხი კვეტა ჰრდლიჩკოვას დამარცხებით სუსტი სქესის თანამემამულეებს სიხარულის ახალი საბაბი გაუჩინა.

„პირველი არაბი მინდა გავხდე, ვინც პირველ ასეულში შეაღწია — მორიგ რეკორდს უმიზნებს სფარი, რომელსაც მაინცდამაინც დიდი ამბიციები არ აქვს — უნდა გენახათ, როგორ გავიხარე, პირველად კლასიფიკაციაში რომ აღმოვაჩინე საკუთარი თავი. მე-1000 ადგილზე ვიყავი სულ სამი ქულით, მაგრამ ასე მეგონა, მსოფლიოს პირველი ჩოგანი გავხდი. შამპანურიც კი გავხსენი აღსანიშნავად".

იმედია, მუსლიმი ფუნდამენტალისტები ბოლო წინადადებას დიდ ყურადღებას არ მიაქცევენ, თორემ ალაჰის კანონების დარღვევისა და არაბი მანდილოსნებისთვის გამხრწნელი მაგალითის მიცემისთვის სფარს სასჯელი არ ასცდება.

დომხალი ბადეში

თუ გასულ შაბათს „სარბიელში" გამოქვეყნებულ როლან გაროსის ქალთა ბადეში გვარიანი შეცდომებს აღმოაჩენთ, ჩვენ ნურაფერს დაგვაბრალებთ: ლონდონ დევენპორტის არყოფნის გამო ორგანიზატორებმა მასში ცვლილებები მხოლოდ კვირას შეიტანეს და რამდენიმე ბობოლას ადგილი შეუცვალეს.

მაშ ასე, მოიმარჯვეთ კალმები და შეუდექით ცვლილებების კეთებას. მაგდალენა მალეევას (13) ნაცვლად მარტინა ჰინგისს მერვედფინალში სანდრინ ტესტიუ უნდა შეხვდეს, რომელსაც ორგანიზატორებმა განთესვის მე-17 ნომერი უბოძეს და ბადის პირველ მერვედში გადაიყვანეს.

თავად მალეევა ბადის ქვედა ნაწილში გადაისროლეს ნატალი ტოზიას (9) ნაცვლად და მან პირველ წრეში სილვია ფარინასთან უკვე წააგო. ტოზია ამელი მორესმოს (5) ნაცვლად ბადეში ოღნავ ზევით დააწინაურეს და მას პირველ წრეში ლინა კრასნარუცკაიამ ავჯობა.

დევენპორტის (3) ადგილი ბადეში მასპინძელმა მორესმომ დაიკავა და ამ ცვლილებების ნავსი მასზეც გავრცელდა — ფრანგმა პირველ წრეში იანა კანდართან წააგო. სილვია პლიშკესთან დამარცხდა ბადეში ტესტიუს ადგილზე მოხვედრილი „იღბლიანი წაგებული" ანკე ბარნაც (ბოლოდან მესამე წყვილი).

თუ ამ დომხალს თავი და ბოლო გაუგეთ, ქუდიც თქვენ გხურებიათ.

ავთანდილ სგანიძე

ჯორდანი კენჭს იყრის

განთქმულ ინგლისელ მოდელ ჯორდანს, ვინაც ჩვენთვის იმითაა ცნობილი, რომ „მანჩესტერის“ თავდამსხმელ დუაიტ იორკის საყვარელი გახლავთ, პოლიტიკაში შეურგავს თავი და მოახლოებულ არჩევნებზე დამოუკიდებელ კანდიდატად იყრის კენჭს სტრეტფორდიდან. ჯორდანის ნამდვილი სახელი კეტი პრაისია და მისი მთავარი საარჩევნო მოთხოვნა უფასო პლასტიკური ოპერაციებია. ფასიანი პლასტიკური ოპერაციების შედეგი კი ჯორდანი თავად ბრძანდება.



REUTERS მანჩესტერიდან



REUTERS სიდნეიდან

ბრიტნი გაისვრის

პოპ ვარსკვლავი ბრიტნი სპირსი ავტორბოლების დიდი ტრფიალია. განთქმულ დაიტონაზე, ფლორიდის შტატში რომ გადებულა სარბოლ გზად, „ნასკარის“ დიდი რბოლები იმართება ხოლმე. წლეულს, 43-ე „დაიტონაა“ და სწორედ ბრიტნის ხვდომია წილად ამ რბოლის სასტარტო გასროლის შესრულების პატივი.

REUTERS ბრაზილიიდან

უსწრაფესი ფეხსაცმელი

ევროპაში მოგზაურობს მსოფლიოს უსწრაფესი ადამიანი, ამერიკელი სპრინტერი მაიკლ ჯონსონი. ბერლინიდან პრაღაში ჩასულ ოლიმპიურ ჩემპიონს თავისი სარბენი ფეხსაცმელი თითქმის ხუთ ათას დოლარად გაუყიდია და ამონაგები ფული საქველმოქმედო მიზნისთვის გადაუდია.

გმირის ამბავი

ლეგენდარულმა ავსტრალიელმა მოცურავე ქალმა დონ ფრეზერმა ავტობიოგრაფია დაწერა. მრავალგზის ოლიმპიური ჩემპიონი 440 გვერდზე მოგვითხრობს თავის წარმატებათა საიდუმლოს. წიგნის პრეზენტაცია „ნორის სიდნეი პულში“ გაიმართა, სწორედ იმ აუზის ახლო, სადაც ოდესღაც ვარჯიშობდა დიდი ჩემპიონი. წიგნის გამოსვლას მალევე მოჰყვება სამკვირიანი სარეკლამო ტურნე მთელს ქვეყანაში, ქალბატონი ფრეზერი ხომ დიდად პოპულარული ქალია მთელს ავსტრალიაში.





REUTERS პარიზიდან

სიხარული თიხნარზე

გრძნობათა დუღილია როლან გაროსზე. ყოველი გამარჯვებული თავისებურად გამოხატავს სიხარულს. ვინ დაიჩოქებს და ვინ თიხნარზე გაგორდება. ჩეხი ირჟი ნოვაკი დამხობილა და ისე ზეიმობს ფრანგი სედრიკ პიოლინის დამარცხებას (2:6, 6:4, 6:2, 7:5). პიოლინის თანამემამულე ვირჟინი რაზანოს კი გერმანელი ანკე ჰუბერისთვის უჯობნია (6:0, 4:6, 6:1).

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი პატარა ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი **კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია** გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტო-რეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილ-სტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ლია ბესელია, თამაზ გოგებაშვილი, ელენე გელუტაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ჯუფუნია, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge